პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მესამე

კომუნისტი

ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო.

რედაქცია: ტფილისი, კრუზენ. № 4. მე-3 სართული

მთავარი კანტორა: ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24 მე-2 სართული ტელეფ. 5—48

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე

ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14-76. მდივნის 10—58

ხელის მოწერის ოფიციალური ფასი: საქართველოში 230.000 მ. სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში 1200 მ. 1922 წ. ნიშნებით განცხადებები—50 ათ. მ. ნონპარეილის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 1 მილ. მ.

№ 60 შაბათი, 17 მარტი 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 10,000 მან. № 60

დღიური

ამხ. ლენინის ჯანმრთელობა.

პოლონეთის ამბები: ელჩთა კონფერენციამ დაადგინა გადასცეს პოლონეთს: აღმოსავლეთ გალიცია, ვილნოს რაიონი და ვილნო-გროდნოს რკინისგზა.

რურის ოკუპაცია: გერმანელ პოლიციელების და მოქალაქეების დახვრეტა, საოკუპაციო ჯარების მომატება, ძალადობა ქალებზე, ხმები შუამავლობის შესახებ, საიმონის განცხადება თემთა პალატაში, ბრიუსელის თათბირის შედეგები.

საფრანგეთში: ინტერესი რუსეთის განუყოფილებისადმი ლიონის ბაზრობაზე.

66 მენშევიკის განცხადება

ჩვენს გაზეთში იბეჭდება დღეს განცხადება მენშევიკური პარტიის 66 ყოფილი წევრების, მუშებისა და გლეხების, რომლებიც სტოვებენ ამ პარტიის რიგებს. რღვევის პროცესი, რომელშიაც ჩათრეულია დღეს მენშევიკური ორგანიზაცია, მისი ერთეულებიდან თანდათან ვრცელდება უფრო ფართო შემადგენლობაზე, განსაკუთრებით მის მუშურ-გლეხურ შემადგენლობაზე, რომელიც კიდევ შემორჩენია პარტიას ძველი დროიდან, რადგან ფაქტია, რომ ძველად მენშევიკური სოციალ-დემოკრატია აერთიანებდა თავის ორგანიზაციაში არა მარტო წვრილ ბურჟუაზიულ ფენებს, არამედ მუშებისა და ღარიბი გლეხკაცობის წრეებსაც, რომლებიც ძველი რეჟიმის დროს ხედავდენ ამ პარტიაში რევოლიუციონურ ძალას.

მას შემდეგ დრომ განვლო, მენშევიკური სოციალ-დემოკრატიამ ხელთ იგდო ჩვენი ქვეყნის მესაჭეობა და შეუდგა ტიპიურ ბურჟუაზიული სახელმწიფოს შენებას მასების გამაბრუებელი „დემოკრატიული“ და „სოციალისტური“ ფრაზეოლოგიის რახარუხში. ეს იყო პირველი გაფთხილება იმ ელემენტების მიმართ, რომლებიც თავის მდგომარეობით გულწრფელი რევოლიუციონერობით გამსჭვალულნი, ტრადიციულათ მისდევდენ ამ პარტიას. მუშათა კანონმდებლობა მენშევიკების, ფაქტიური თარეში მეპატრონეების, მენშევიკების სახელმწიფოებრივი აპარატი, რომელიც არსებითად ემსახურებოდა ექსპლოატატორების ინტერესებს, დაბოლოს დევნა რევოლიუციონურათ განწყობილი მუშათა პროფესიონალურ და პოლიტიკური ორგანიზაციების, აშკარა როლი მენშევიკური პარტიის, რომელიც თანდათან გამოდიოდა გარეშე იმპერიალისტური ძალების დამხმარეთ—ყოველივე ამან აუხილა თვალი იმ მუშებსა და გლეხებს, რომლებიც შეორდენ პარტიაში. ამ გამოფხიზლებამ უფრო მეტი სისწრაფით იწყო ზრდა განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც საქართველოში მშრომელთა საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა და შეუდგა მთელი სახელმწიფოებრივი ცხოვრების, სახალხო მეურნეობისა და მმართველობის აპარატის მოწყობას მუშათა და გლეხთა ინტერესებთან შეფარდებით, მათი აუცილებელი მოთხოვნილებათა დაცვით.

მუშები და გლეხები დარწმუნდნენ დღეს აშკარა ფაქტებით, რომ ის პარტია, რომელსაც მენშევიკები აცხადებდნენ ყოვლის დამრღვევათ, ცხოვრების ამაოხრებლათ და ანარქიის მოციქულათ, რომელიც, მათი დემაგოგიური ლათაიებით მოკლებული იყო ახალი ცხოვრების აღმშენებლობის ნიჭსა და უნარს—სწორეთ ეს პარტია, პარტია კომუნისტების (ბოლშევიკების) ხელმძღვანელობს დღეს დიდი წარმატებით სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების საქმეს მშრომელთა საკეთილდღეოთ.

მეორეს მხრით საქართველოში შემორჩენილი მენშევიკური ორგანიზაციები დღეს დამდგარი არიან აჯანყების და სხვა ასეთი ავანტიურის გზაზე არსებულ წესწყობილების წინაალმდეგ. თავიანთ მიზნების განსახორციელებლათ ისინი აღარ ერიდებიან არავითარ საშუალებას. მათ მჭიდრო კავშირი აქვთ ყველა ნაძირალებთან და სისხლის სამართლის დამნაშავეებთან. გარედან კი, უცხოეთში გაქცეული მათი ბელადები კვლავ უცდიან ხელსაყრელ შემთხვევებს ინტერვენციის მოსაწყობათ და მშვიდობიან ცხოვრებაზე გადასულ ჩვენი მშრომელი ხალხის ასაწიოკებლათ და სისხლის დასაღვრელათ. ასეთ მათ ზრახვებს ვეღარ მალავენ დღეს თვით ყოფილი მენშევიკები და უკანასკნელი გამოსვლები მათ ცნობილი მოღვაწეების კიდევ ზედმეტი დადასტურებაა ამ პარტიის მოღალატური, მუხანათური გეგმების არსებობისა მთელი ქართველი ხალხის წინაალმდეგ.

ყველა ეს გარემოება თავის გავლენას ახდენს ამ პარტიის მუშურ-გლეხურ ელემენტებზე, რომლებიც საბოლოოთ რწმუნდებიან დღეს, რომ მათი ადგილი აღარ არის ამ პარტიაში, რომ დადგა დრო დაბრუნდნენ მშრომელთა საერთო ოჯახში ე. ი. იქ, სადაც კეთდება კომპარტიის მეთაურობით მათი საკუთარი სასიცოცხლო საქმე. და აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ეს სულისკვეთება იპყრობს სწორეთ იმ წევრებს პარტიისას, რომლებიც **ათი, ხუთმეტი და ოცი წელი** დაუყვიათ მენშევიკურ ორგანიზაციაში. ეს მაჩვენებელია იმის, რომ ბოლოს და ბოლოს კლასიური ინსტინქტი, შეგნება კლასიური ინტერესების სძლევს ტრადიციას და გამოჰყავს ისინი იმ ჭაობიდან, სადაც ორ ათეულ წლებზე მეტი ყოფილან ჩაფლული.

რევოლიუციონური მუშებისა და გლეხებისთვის, რომლებიც დღეს საბჭოთა ხელისუფლების მეთაურობით აშენებენ ახალ ცხოვრებას შრომის სამეფოსას, ეს დაბრუნება, ჩვენი კლასიური ძმებისა და მომავალი თანამებრძოლების დიდათ სასიხარულოა.

ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს, რომ საბჭოთა მთავრობა ყოველ საშუალებას მისცემს და ღია გულით შეხვდება ყველა მათ, რომლებიც სწყდებიან ავანტიურის და აჯანყების გზაზე შემდგარ საეჭვო ჯგუფებს და წრებს მენშევიკებისას. ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ შეგნება საკუთარი ინტერესების აიძულებს ყველა პატიოსან ელემენტებს ამ პარტიის მუშურ-გლეხურ შემადგენლობიდან საბოლოოდ გამოიხურონ კარები ამ პარტიიდან, მოსწყდნენ მის ორგანიზაციებს და მიაშურონ თავიანთ საკუთარ ოჯახს, ოჯახს მუშებისა და გლეხებისას, სადაც სწარმოებს დღეს ქვეყნის ამყვავებელი აღმშენებლობითი მუშაობა.

„ხალხთა ლიგის“ კონფერენცია

მსოფლიო ომის შემდეგ წარმოიშვა ერთი მკვდრად დაბადებული ორგანიზაცია, რომელსაც ხალხთა ლიგა ეწოდება. მის მიზანს თითქო უნდა შეადგენდეს ხალხთა შორის მშვიდობიანობის ჩამოგდება, სხვა და სხვა სახელმწიფოთა შორის არსებულ და წამოცენებულ სადავო საკითხების მშვიდობიანი გზით გადაჭრა, მათი ურთიერთი თანამშრომლობის მოგვარება და ხელის შეწყობა ომით დანგრეულ მსოფლიო მეურნეობის აღორძინებისათვის.

იყვნენ ისეთი გულუბრყვილო და ბეცი ადამიანები, ბურჟუაზიული პაციფისტების და ყვითელი სოციალისტების სახით, რომელნიც ხალხთა ლიგასთან ერთგვარ იმედებს ამყარებდნენ. ამ ფაქტებს რო თავი გავანებოთ, გავიხსენოთ თუ გინდ სულ უკანასკნელ დროის ამბავი. რურის ოკუპაციასთან დაკავშირებით, მეორე ინტერნაციონალის გმირებმა მოითხოვეს ხალხთა ლიგის ჩარევა საფრანგეთ-გერმანიის კონფლიქტის გასარჩევად და სალიკვიდაციოდ. ეს გარემოება მჭევრმეტყველურად აშკარავებს ამ ვაჟბატონების კლასობრივ გონების განსაზღვრულობას, მათ ღალატს მუშათა კლასისადმი, ამასთან მათ სრულ გაკოტრებას და უძლურებას.

მათ დავიწყებას მისცეს, სხვათაშორის, ჰააგის „სამშვიდობო“ კონფერენციაზე მიღებული საზეიმო აღთქმა სახელმწიფოებს შორის შემთხვევაში მუშათა საყოველთაო გაფიცვის მოწყობის შესახებ, შეიარაღების [illegible] შესახებ, და ისინი მიმართავენ მშვიდობიანობის დამცველის მოწოდებით იმ დაწესებულებას, რომელიც მხოლოდ კვალდამჯერელია ვერსალის მიერ დაწესებულ ძალადობის და დამარცხებული ხალხთა ძარცვის. ეს, მუშათა მიერ ათასჯერ გამყიდველი „სოციალისტები“ ამით ცდილობენ მშრომელ მასსების ჩამორჩენილ ნაწილში ხელი შეუწყონ იმ მავნე ილიუზიის განმტკიცებას, თითქო კაპიტალისტურ რეჟიმის პირობებში შესაძლებელი იყოს ხალხთა შორის მშვიდობიანობის დამყარება, თითქო არსებობდეს ისეთი ორგინიზაციაც ხალხთა ლიგის სახით, რომელიც მოწოდებულია ამ მიზნის განსახორციელებლად, და არა მარტო მოწოდებული, არამედ თითქო მას ძალა და უნარი შესწევდეს ამისათვის. ამით მათ სურთ გაანელონ პროლეტარიატის აბობოქრებული რევოლიუციონური ნებისყოფა, ისინი ემსახურებიან ბურჟუაზიის ბატონობის გახანგრძლივებას.

მაგრამ ცხადია, მუშათა კლასის გასულელება და მოტყუება ეხლა, მსოფლიო ომის და შემდეგი წლების მწარე გაკვეთილების შემდეგ, არც ისე ადვილი საქმეა. ის დარწმუნდა, რომ ბურჟუაზიული წყობილება არის წყარო მუდმივი სისხლის ღვრის. რომ ხალხთა შორის მშვიდობიანობის და სოლიდარობის დამყარება შეიძლება მხოლოდ ამ წყობილების ძირ-ფესვიანად აღმოფხვრით, მან იცის, რომ კერძოდ ხალხთა ლიგა ის დაწესებულებაა, რომელიც შეძლებისდაგვარად ემსახურება ბურჟუაზიის განმტკიცებას.

მართლაც, რა არის ხალხთა ლიგა?—მსოფლიო ომში გამარჯვებულ სახელმწიფოთა ორგანო, რომლის ნამდვილ დანიშნულებას შეადგენს ფორმალური სანქცია მისცეს „გამარჯვებულთა“ მტაცებლურ ნაბიჯებს. თავის თავად კი, რეალური ძალის მიხედვით, ის სრულ არარაობას წარმოადგენს. ის საესებით ფაქტიური დაწესებულებაა, რომელიც მოქმედებს ანტანტის კარნახით. ის მონური გამომეტყველებით შესცქერის თავის მომავლინებელ ბატონს და ასე გამოაქვს ესა თუ ის გადაწყვეტილება, რომლის შესრულება ამა თუ იმ გამარჯვებულ სახელმწიფოს თავისთვის სავალდებულოთ მიაჩნია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ხელსაყრელია მისთვის.

ამასთან აღსანიშნავია, რომ ანტანტაში არსებული ღრმა წინააღმდეგობანი ჰპოულობენ გამოხატულებას—ხალხთა ლიგაში, რომელიც ამიტომაც ხდება დამბლა დაცემულ ორგანიზაციად.

რაიმე დადებითი საქმის გაკეთება მას არ შეუძლია. თავის არსებობის გასახსენებლად ის დროგამოშვებით იკრიბება სალაყბოდ, რასაც არავითარი რეალური შედეგები არ მოსდევს.

აი, ეხლაც, ხალხთა ლიგის საბჭოს დაუდგენია მოიწვიოს ჟენევაში კონფერენცია, ყველა სახელმწიფოებზე ვაშინგტონის ხელშეკრულების პრინციპების გავრცელების შესახებ საკითხის განსახილველად. ეს ხელშეკრულება შეეხება საზღვაო შეიარაღების შემცირებას. ამასთან ჟენევის კონფერენციაზე დასმული იქნება საკითხი მხრჩოლავ გაზების და წყალქვეშა ნავების შესახებ ხელშეკრულების გავრცელებაზე ყველა სახელმწიფოების მიმართ. ამ კონფერენციის მოწვევის შესახებ წერილით მიმართა ამხ. ჩიჩერინს ხალხთა ლიგის გენერალურ მდივნის მოადგილემ.

ამასთან აღსანიშნავია, რომ კონფერენციის დღის წესრიგში მოხსენებულია მხოლოდ ხალხთა ლიგის წევრები. რუსეთი კი, როგორც ვიცით, არ არის მისი წევრი. ამიტომ, ხსენებული მიმართვა ამხ. ჩიჩერინისადმი კიდევ არ არის რუსეთის ოფიციალური მიწვევა კონფერენციაზე. მის მიზანს შეადგენს უფრო საბჭოთა მთავრობის პოზიციის გამორკვევა ხალხთა ლიგისა, ჟენევის კონფერენციისა და მასზე დასმულ საკითხებისადმი.

საბჭოთა მთავრობის დამოკიდებულება ხალხთა ლიგისადმი იმთავითვე ნათელია. გარეშე საქმეთა კომისარიატის ეხლა გამოქვეყნებული ცნობაც განმარტავს მას. იქ ნათქვამია, რომ ხალხთა ლიგა არის ნიღაბი, რომლითაც რამოდენიმე დიდი სახელმწიფოები ცდილობენ თავიანთი მტაცებლური მიზნებისათვის მოატყუონ ფართო მასსები.

რაც შეეხება ჟენევის განზრახულ კონფერენციაზე დასმულ საკითხებს, საბჭოთა მთავრობა ერთად ერთია, რომელიც დღიდან თავის არსებობისა რადიკალურად აყენებს განიარაღების საკითხს. მან ამ მხრივ გადადგა ნაბიჯები გენუას კონფერენციაზე, ამ მიზნით მან მოიწვია მოსაზღვრე სახელმწიფოთა კონფერენცია. მაგრამ ყველაფერი ეს ჩატარდა უშედეგოთ მხოლოდ და მხოლოდ ბურჟუაზიულ მთავრობების წყალობით. საბჭოთა მთავრობამ თვით საგრძნობლად შეამცირა წითელი ჯარის რაოდენობა. ის ყოველ ზომას ხმარობს, რათა შექმნას მშვიდობიანი ცხოვრების პირობები როგორც საბჭოთა ფედერაციის, ისე მთელი ქვეყნიერების მშრომელ მასსებისათვის.

ბურჟუაზიული მთავრობები კი, შემცირების მაგივრად უფრო აძლიერებენ თავიანთ შეიარაღებას. ავიღოთ თუნდაც ვაშინგტონის ხელშეკრულება საზღვაო შეიარაღების შემცირების შესახებ. ის მეორე დღესვე უკუაგდეს თვით მის ავტორებმა. ვინ ჩამოთვლის, თუ რამდენი სამხედრო გემი ააშენეს მათ ომის შემდეგ. აქ ერთმანეთს ეჯიბრებიან ინგლისი, ამერიკა, იაპონია, საფრანგეთი.

და ჩვენ არავითარი საფუძველი არა გვაქვს, რომ ისინი შეცვლიან ამ მხრივ თავის პოლიტიკას. ჟენევის კონფერენციის დადგენილება, თუ იქ რაიმე ასეთი იქნება გამოტანილი შეიარაღების შემცირების შესახებ, ქაღალდის უბრალო ნაგლეჯად დარჩება.

ასეთია ბუნება იმპერიალიზმის.

მიუხედავათ ამისა, საბჭოთა მთავრობა ამ შემთხვევას, ჟენევის კონფერენციას ხელიდან არ გაუშვებს. თუ იქ ის იქნება მიწვეული, ერთხელ კიდევ საჯაროდ გადაშლის თავის სამშვიდობო პროგრამას, დასახავს გზებს მის განსახორციელებლად და ნიღაბს ჩამოფხრეწს „მშვიდობის მოყვარე“ პოლიტიკოსებს ხალხთა ლიგიდან.

მშრომელ მასსების გამოფხიზლებისათვის ამასაც ექნება მნიშვნელობა.

პრესის მიმოხილვა

მოსკოვი. 16 მარტი. 14 მარტს მოსკოვის გაზეთები მიეძღვნა რუსეთის კომპარტიის 25 წლის იუბილეს. გაზ. „პრავდაში“ მოთავსებული იყო შემდეგი ლოზუნგები: „გაუმარჯოს ჩვენს მძლავრ, ენერგიით აღსავსე პარტიას, საერთაშორისო პროლეტარულ არმიის წინამძღოლს, რომელიც ფოლადისებურ ხელებით აყირავებს მსოფლიოს. დე, სიხარულით და სიამაყით უცქიროს მან მომავალს, სადაც მას ელის სახელოვანი გამარჯვებანი, იმპერიალისტურ მოძალადეებზე“.

ამხ. ბუხარინი გაზ. „პრავდაში“ მოთავსებულ წერილში: „რით ვიმარჯვებთ ჩვენ“, სწერს: „ჩვენი ძალა მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენი ძლიერების შეგნებას ჩვენ ვაერთებთ სასტიკ თვით გაკრიტიკებასთან. ეს თვით გაკრიტიკება ისევე საჭიროა, როგორც ჰაერი პროლეტარიატის გამარჯვებისათვის. აქვს რა უდიდესი რევოლიუციონური რწმენა, პარტია პირდაპირ გაბედულად უცქერის მოსალოდნელ მრისხანე საფრთხეს. ჩვენი ოპტიმიზმი დამყარებულია იმ ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე, საღ კლასის ცოდნაზე, რომელიც შლის ფრთებს, და ითვისებს ყველა იმ გმირულ მხარეებს, რომელიც ხალხშია გაბნეული. მაგრამ პარტია ყოველთვის აშკარად მოუწოდებდა ხალხს ბრძოლისაკენ, როდესაც კი შენიშნავდა რაიმე საფრთხეს. მრავალი დაბრკოლებანი მოგველის ჩვენ გზაზე. მაგრამ სრული დამშვიდებით და იმედით უცქერის ჩვენი პარტია თავის მომავალს“.

ამხ. პრეობრაჟენსკი გაზ. „პრავდაში“ იძლევა პარტიის ბელადის, ამხ. ლენინის დახასიათებას. ამ ბელადის წყალობით, როგორც პრეობრაჟენსკი აღნიშნავს, პარტია აკეთებდა ისეთ გაბედულ გადახვევებს, რომელიც დაღუპვისაგან იცავდა საბჭოთა გემს. ლენინმა აღმართა პარტიაში ის სოციალური ტიპი, რომელსაც „ბოლშევიკი“ ეწოდება. მან აღმართა ჩვენში ფრაზების, ლამაზი თვალთმაქცობის სიძულვილი, გვასწავლა ჩვენ მენშევიკური ტიპების სიძულვილი, იმ მენშევიკების, რომელთაც ხელიდან გაუშვეს ყველა რევოლიუციები. ამხ. ლენინის წყალობით ჩვენ საქმით გავხდით მარქსის რევოლიუციონური შთამომავლები, რომელთაც მოახერხეს „კომუნისტური მანიფესტის“ ავტორისათვის აღემართათ ძეგლი მთელ მსოფლიოში პირველ პროლეტარულ სახელმწიფოს სახით. ილიჩის მეთოდების შეთვისება—აი იმ ახალგაზრდა კომუნისტების ამოცანა, რომელნიც შეგვცვლიან ჩვენ“.

ამხ. სკლიანსკი იმავე ხასიათის წერილში ამბობს: „ლენინი უსათუოთ გრანდიოზული ფიგურაა, მსოფლიო მუშათა მოძრაობაში. ის ფაქტი, რომ ასეთი ფიგურა განვითარდა, ამტკიცებს იმას, რომ მუშათა მოძრაობამ მსოფლიო მნიშვნელობა მიიღო.

ასეთ მოძრაობის წინამძღოლად უნდა იყოს თითქოს მძლავრი რადიო სადგურის კომანდირი, რომელიც მთელი ქვეყნის ყველა კუთხიდან მიიღებს ტალღებს და ყველგან აგზავნის ასეთსავე საპასუხო ტალღებს“.

ამხ. რადეკი ამხ. ტროცკის შესახებ „პრავდაში“ აღნიშნავს, რომ მხოლოდ ისეთ მოუშვავე ადამიანს, როგორც ტროცკის, მხოლოდ ისეთ თავდაუზოგავ ადამიანს, შეეძლო გამხდარიყო შეიარაღებულ მშრომელი ხალხის მებაირაღტრეთ. ამხ. ტროცკი, თავის პარტიასთან ერთად მუშაობს წითელი არმიის შესადგენად და მას არ შეეძლო შეესრულებია ეს ამოცანა პარტიის გარეშე. მაგრამ ტროცკის გარეშე წითელი არმიის შექმნას და ამდენ გამარჯვებების მოპოვებას დასჭირდებოდა გაცილებით მეტი მსხვერპლი, თუ მთელი ჩვენი პარტია ჩაიწერება ისტორიაში, როგორც პროლეტარიატის პირველი პარტია, რომელმაც მოახერხა დიდი არმიის შექმნა, მაშინ რუსეთის რევოლიუციის ისტორიის ეს ბრწყინვალე ფურცელი სამუდამოთ იქნება დაკავშირებული ამხ. ტროცკის სახელთან“.

ამხ. ტროცკი წერილში „აზრები პარტიის შესახებ“, აყენებს საკითხს ჩვენი ახალგაზრდობის შესახებ. ევროპაში პროლეტარიატის ახალი თაობა, რომელიც რუსეთის რევოლიუციისაგან არის გამოღვიძებული, განაგრძობს კაპიტალისტურ რეჟიმის პირობებში ცხოვრებას. რუსეთის რევოლიუციონური მაგალითი ერთის მხრით და დასავლეთის იმპერიალიზმის სიდუხჭირე მეორეს მხრივ, აკაჟებს ევროპის პროლეტარიატის ახალ თაობას.

ჩვენში კი ახალგაზრდობის წითელი არმიისადმი დამოკიდებულება არსებითად გამოხატავს მის პრაქტიკულ დამოკიდებულებას რევოლიუციისადმი. ეს დამოკიდებულება გუშინ ჩვენ დავინახეთ წითელი ფლოტის მაგალითზე, ხვალ დავინახავთ ავიაციის მაგალითზე“.

ამხ. **სტეკლოვი** გაზ. „იზვესტიაში“, წერილში „იუბილეების წელი“ სწერს: „წელს სრულდება რუსეთის კომპარტიის არსებობის 25 წელი, 48 წლის რევოლიუციის 75 წელი, „კომუნისტური მანიფესტის“ გამოცემის დღიდან 75 წელი, 1 ინტერნაციონალის უკანასკნელი კონგრესიდან 50 წელი, თანამედროვე კომუნიზმის, საძირკველის ჩამყრელის მარქსის გარდაცვალებიდან 40 წელი, მარქსის აღთქმანია:—შეუწყვეტელი ბრძოლა ჩაგვრის და ექსპლოატაციის წინაალმდეგ, იმ პარტიების შეურიგებელი გაკრიტიკება, რომელნიც ნებით თუ უნებლიეთ დახმარებას უწევენ ექსპლოატატორთა მსოფლიოს, დაუზოგავი ბრძოლა მუშათა კლასზე ბურჟუაზიულ ზეგავლენის წინაალმდეგ. დღეს მარქსის მემკვიდრეთ მართლადაც ითვლებიან კომუნისტური პარტიები, რომელნიც შედიან 3-ე ინტერნაციონალში და კერძოთ და განსაკუთრებით კი ჩვენი, რუსეთის კომპარტია. იგი არის მთავარი გამომხატველი და წარმომადგენელი იმ უდიდესი იდეებისა, რომელიც კაცობრიობას აქვს“.

შრომის შვილნი ისევ უბრუნდებიან მშრომელთა რევოლიუციონურ ოჯახს!

მენშევიკ მუშებისა და გლეხების განცხადება

(წერილი რედაქციის მიმართ)

ჩვენ, ქვემორე ამისა ხელის მომწერნი, მენშევიკური პარტიის ყოფილი წევრნი, საჯაროდ ვაცხადებთ, რომ დღეის რიცხვიდან **ვსტოვებთ ამ პარტიის რიგებს,** ვინაიდან მისი მოქმედება 1914 წლიდან და განსაკუთრებით ამ ბოლო ხანებში გამოიხატება აშკარა კავშირში ბურჟუაზიასთან და ყოველგვარ ჯურის ანტისაბჭოთა პარტიებთან და ბანდიტებთან, რომლებიც საფრთხეს უმზადებენ პროლეტარულ რევოლიუციას შეიარაღებული აჯანყებით და ინტერვენციით. ზიზღს უცხადებთ მოღალატე მენშევიკურ პარტიას და, ვდგებით რა საბჭოთა მთავრობის პლატფორმაზე, ფიცსა ვსდებთ მუშათა კლასის წინაშე შევებრძოლოთ მუშურ-გლეხურ ხელისუფლების როგორც გარეშე, ისე შინაურ მტრებს. მოვუწოდებთ პარტიის ყველა პატიოსან წევრებს, რომლებშიც დარჩენილა ოდნავ მაინც სიყვარული მუშათა კლასის მიმართ, დასტოვონ საზიზღარი გაბანდიტებული მენშევიკური პარტიის რიგები და გვერდში ამოუდგნენ საბჭოთა მთავრობას, რომელსაც შეუძლია იხსნას კაცობრიობა კაპიტალიზმის ბრჭყალებისაგან და დაამყაროს ძმობა, ერთობა და სოლიდარობა ყველა მშრომელთა შორის.

დოლიძე სევასტი ტრიფონისძე 1905 წლიდან.
კუტუზიძე მელიტონ გიგილოსძე 1905 წლიდან.
მაქმედი მელიტონისძე გოგიჩაიშვილი 1920 წ.
ნინიძე კალე ლევანისძე 1917 წ.
ცხომელიძე ივან ზოსიძე.
მალულარია სიმონ ამბაკოსძე.
ბარამიძე სამსონ ალექსანდრეს ძე.
ჭეიშვილი აკაკი სიმონისძე 1918 წლიდან.
ჯიბლაძე სერგო კოსანდილესძე—1907 წლიდან.
ცინცაძე ნესტორ ბესარიონისძე 1903 წლიდან.
უენია კოწია ნიკოლოზისძე 1912 წლიდან.
ბარამიძე ივანე ოქროპირისძე 1917 წლიდან.
ბალდავაძე ნოე ილარიონისძე 1903 წლ.
ქანთარია პავლე ჩითანისძე 1917 წლიდან.
ხუხუნაშვილი რაჟდენ ალექსანდრესძე 1905 წ.
გოგელია ვასილი ილიაიანეს ძე 1907 წლიდან.
ურმაძე ერასტო ნიკოლოზის ძე 1906 წლიდან.
აფხაზავა იპოლიტე მოსეს ძე 1919 წლიდან,
ლორია ნესტორ ანტონის ძე 1905 წლიდან.
გიორგაძე მაქსიმე ნიკიფორის ძე 1910 წლიდან.
იმნაძე სოლომონ დიანოსის ძე 1917 წლიცან.
სალუქვაძე კონსტანტინე ლაზარეს ძე 1902 წლიდან.
კანდელაკი ბიკტორ ერმალოზის ძე 1916 წ.
ელიაძე აკაკი დავითის ძე 1914 წლიდან.
სიამაიშვილი შალვა იობის ძე 1905 წლიდან.
ჯაყელი ესე გიორგის ძე 1910 წლიდვან.
გოგიჩაიშვილი ლავრენტი ლადიმერის ძე 1904 წლიდან.
ჩოხაიძე გაბრიელი ოთარის ძე 1914 წ.
ნიკოლაიშვილი პავლე მიხეილის ძე 1917 წ.
გოგიჩაიშვილი კოწია ივანეს ძე 1905 წლიდან.
სარჯველაძე კოლია პირველის ძე 1917 წლიდან,
სარჯველაძე გრიგოლ ნიკიფორეს ძე 1917 წლიდან.
ლომაძე მარკოზ ნიკოლოზის ძე 1905 წლიდან.
თავართქილაძე ერმილე სიმონის ძე 1912 წლიდან.
სარჯველაძე ბესარიონ ჯაბინას ძე 1905 წლიდან.
სავთარ მოსე ალექსის ძე 1918 წლიდან,
შეწირული კონსტანტინე მიხეილის ძე 1914 წლიდან.
ჭელიძე სერაპიონ ერმილეს ძე 1918 წლიდან.
დოგლიძე აფრასიონ დობინის ძე 1903 წლიდან.
კალანდაძე პროკოფი ერმანეს ძე 1907 წლიდან.
ხომერიკი ბიკტორ ალექსან. 1919 წლიდან.
დობორჯგინიძე კამანდო ალექსანდრეს ძე 1905 წლიდან.
დოლიძე ამბაკო კალისტოს ძე 1917 წლიდან.
ტიღურაძე სამსონ ვასილიძე 1917 წლიდან.
ღლონტი ნიკიფორე გიგოლისძე 1917 წლიდან.
გუგუნავა გრიგოლ სიმონის ძე 1905 წლიდან.
თედორაძე ირაკლი სპირიდონის ძე 915 წლიდან.
კალანდაძე ონოფრე გლახუნის ძე 1905 წლიდან.
წილოსანი ბენია სიმონის ძე 1916 წლიდან.
ორაგველიძე ივანე ასალის ძე 1912 წლიდან.
უგრეხელიძე კირილე ბიჭიას ძე 1919 წლიდან.
ხოფერია მიხეილ იოსების ძე 1917 წლიდან.
ზაქარიაძე ერმილე ყარამანის ძე 1917 წლიდან.
შეწირული შაქლო ნიკის ძე 1910 წლიდან.
სარიშვილი ბართლომე ალექსანდრეს ძე 1917 წლიდან.
ზაქარიაძე დიომიდე გიორგის ძე 1918 წლიდან.
უშვერიძე ალექსანდრე ივანეს ძე 1918 წლიდან.
კვაჭაძე თეოფილე გეორგის ძე 1918 წლიდან.
ქათამიძე ერასტო სიმონის ძე 1905 წლიდან.
მუჯირი ერმილე სოლომონის ძე 1915 წლიდან.
კვარიძე სიმონ ლავრენტის ძე 1915 წლიდან.
იმნაძე კაპიტონ ბესარიონის ძე 1917 წლიდან.
ჯორბენაძე დავით პავლეს ძე 1917 წლიდან.
მოისრაფეშვილი სერაპიონ ხალამპრეს ძე 1917 წლიდან.
ზაქარიაძე ბესარიონ გაბრიელის ძე 1903 წლიდან.
ცერცვაძე მიხელ სიმონის ძე 1915 წლიდან.

რადიო-დეპეშები

ამხ. ლენინის ჯანმრთელობა

მოსკოვი. 15 მარტი. მეტყველების და ჯანმრთელობის საერთო მდგომარეობას ემჩნევა თანდათანობითი გაუმჯობესება. ტემპერატურა—36,7, მაჯის ცემა—88. კარგი გავსებით. მარჯვენა ფეხის და მარჯვენა ხელის მოძრაობა იმავე მდგომარეობაშია. 15 მარტი, დღის 1 საათი.

პროფესორები: **მინკოვსკი, ფერსტერი, კრამერი.**
პრივატდოცენტი: **კოჟევნიკოვი.**
ჯანმრთელობის სახალხო კომისარი: **სემაშკო.**

პოლონეთის ამბები

ვილნო გადაეცა პოლონეთს.

ბერლინი. 16 მარტი. „ტანის“ ცნობით ელჩთა კონფერენციამ დაადგინა შეუერთოს ვილნოს რაიონი პოლონეთს.

აღმოსავლეთ გალიცია პოლონეთს უერთდება.

პარიზი. 16 მარტი. თანახმად ელჩთა კონფერენციის მიერ ხელ-მოწერილ ოქმისა აღმოსავლეთ-გალიცია პოლონეთს უერთდება.

პოლონეთი კმაყოფილია

პარიზი. 16 მარტი. პარიზში მყოფ პოლონეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა სკრჟინსკიმ განუცხადა „პტი-პარიზენის“ წარმომადგენელს, რომ პოლონეთი სრულიად დაკმაყოფილებულია მოკავშირეთა გადაწყვეტილებით აღმოსავლეთ-პოლონეთის საზღვრების საკითხში.

კიდევ ნაჭერი.

პარიზი. 15 მარტი. ელჩთა კონფერენციის გადაწყვეტილებით ვილნოს გარდა პოლონეთს მიაკუთვნეს ვილნო-გროდნენის რკინის გზა.

რურის ოლქის ოკუპაცია

გერმანელ პოლიციელების დახვრეტა.

ბერლინი. 16 მარტი. რურის ოლქში კვლავ დახვრიტეს ორი გერმანელი პოლიციელი. დახვრეტის მიზეზი გაურკვეველია.

დახვრეტა.

რომი. 16 მარტი. დიუსელდორფში ფრანგების მიერ საალყო წესების გამოცხადების შემდეგ დახვრეტილ იქნა რამოდენიმე ადგილობრივი მოქალაქე.

მემალაროეები გაიფიცენ.

ბერლინი. 16 მარტი. ვესცერგოლდის სახელმწიფო მალაროებში გაფიცვის გამოცხადების შემდეგ გაიფიცენ აგრეთვე მალაროს მუშები გერგმანსგლიუკეში და შალზენეში, საიდანაც ფრანგები ფიქრობდნენ დაეწყოთ კოკსის და ნახშირის გამოტანა.

აუპატიურებენ ქალებს.

ბერლინი. 16 მარტი. გერმანიის მთავრობის წარმომადგენელმა მიუნსტერში წერილობით აუწყა გენერალ დევინს, რომ ესენიდან დელვიგში მიმავალ გზაზე გააუპატიურებულ იქნა ქალიშვილი.

გერმანიის ვალი ამერიკისადმი.

ბერლინი. 16 მარტი. ვაშინგტონის ცნობების თანახმად გერმანიის ვალი ომის დროს დაზარალებულ ამერიკის მოქალაქეებისადმი და აგრეთვე გერმანიის ვალი, რომელიც გადახდილ უნდა იქნას რეინლანდში მყოფ ამერიკის საოკუპაციო ჯარების შესანახავად, სულ 1 მილიარდ დოლარს აღემატება. ამასთან დაკავშირებით დანიშნულია გერმანია-ამერიკის სასამართლოს სხდომა აღნიშნულ ვალის განსახილველად.

რურის გარშემო

საოკუპაციო არმიის გადიდება.

ბერლინი. 16 მარტი. საფრანგეთის გარეშე საქმეთა სამინისტრო ადასტურებს, რომ რურში საფრანგეთის ჯარების რაოდენობა გადიდებულია 15,000 კაცით. „ევრი“ დასძენს, რომ გადიდებული იქნება აგრეთვე ბელგიის ჯარების რაოდენობაც. ამ რიგად, საფრანგეთ-ბელგიის საოკუპაციო ჯარები შეადგენენ 90,000 კაცს, რასაც უნდა მიემატოს მობილიზაციით გაწვეული 10,000 რკინის გზელი.

ხმები შუამავლობის შესახებ.

ბერლინი. 16 მარტი. გერმანიის პრესა იუწყება, რომ პარიზიდან მიღებულ ცნობებს შუამავლობის შესახებ კომენტარებს უკეთებენ გერმანიის წრეები, რომლებიც აცხადებენ, რომ საჭიროა დაცვა იმის გამორკვევამდე, რომ შესძლებენ თუ არა მომავალი შუამავლები თანამედროვე პირობების გათვალისწინებას. აღნიშნულ წრეების აზრით, გერმანიის მთავრობა არავითარ შემთხვევაში არ უარყოფს მოლაპარაკებას, მაგრამ დღემდე მას არავითარი საბუთი არ აქვს რომ იფიქროს ასეთი მოლაპარაკების შესაძლებლობაზე, ვინაიდან ინგლისს ამ დრომდე არავითარი ნაბიჯები არ გადაუდგამს ამ მხრივ.

არ სურთ პროტესტი გამოუცხადონ.

რომი. 16 მარტი. ინგლისის თემთა პალატამ ხანგრძლივი კამათის შემდეგ 249 ხმის უპრავლესობით 201 წინააღმდეგ უარყო სიმონსის მიერ შეტანილი წინადადება, რომელიც გამოსთქვამდა პროტესტს რურის ოკუპაციის და ამ საკითხში ბრიტანეთის მთავრობის პოზიციის წინააღმდეგ.

ძველ პოზიციაზე.

პარიზი. 16 მარტი. ლონდონიდან მიღებულ ცნობების თანახმად ინგლისის მთავრობა არ ფიქრობს ამ ჟამად გამოიცვალოს თავისი პოზიცია რურის საკითხში.

გერმანიის ამბები

ბავარიის რკინისგზელთა შორის მღელვარება იზრდება.

მოსკოვი. 16 მარტი. ბერლინიდან იტყობინებიან, რომ ბავარიის რკინისგზელთა მღელვარება იზრდება. რკინის-გზელებმა, რკინის გზეთა ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტებმა და რკინისგზელთა კავშირების წინამძღოლებმა წამოაყენეს მთელი რიგი მოთხოვნილებათა, რომელნიც იმუქრებიან, რომ თუ უარი უთხრეს მათ დაკმაყოფილებაზე გაბედულად დაუზოგავ ბრძოლაზე გადავლენ.

გერმანიის პროტესტი

რომი. 16 მარტი. ვოლფის სააგენტომ გამოაქვეყნა გერმანიის მთავრობის ნოტა, რომელშიც ის პროტესტს აცხადებს ფრანგების სასტიკ რეპრესიების წინააღმდეგ, რომელიც აზრჩობს მშვიდობიან მოსახლეობას.

გერმანიის ახალი წინადადება

რომი 15 მარტს. „დეილი ექსპრესის“ ცნობით გერმანიამ წარუდგინა მოკავშირეების საკონტრიბუციო საკითხის გადაჭრის ახალი გეგმა,

ახლო აღმოსავლეთში

მუშები ირაზმებიან.

მოსკოვი. 15 მარტი, სმირნაში ეკონომიურ კონგრესსზე მუშათა წარმომადგენლებს ჰქონდათ თათბირი, რომელზედაც ირჩეოდა საკითხი მუდმივ საორგანიზაციო ცენტრის შექმნის შესახებ.

ოსმალეთის მიწის მუშების საზოგადოება.

მოსკოვი. 15 მარტი, მიწის მომქმედთა ჯგუფმა სმირნის ეკონომიურ კონგრესსზე დაარსა ოსმალეთის მიწის მუშების საზოგადოება, რომლის წევრობაც შეუძლია ოსმალეთის ყველა მიწის მუშას.

ფრანგები განაგრძობენ ძალების მოკრებას.

მოსკოვი. 15 მარტი, საფრანგეთის მთავრობა სირიაში დაწყებულ მღელვარების გამო განაგრძობს იქით გზავნას ახალ სამხედრო ნაწილებისას.

ოსმალეთის დელეგაციის თავმჯდომარე.

ბერლინი. 16 მარტი. სტამბოლიდან მოსულ ცნობების თანახმად მოკავშირეებთან მოსალაპარაკებლათ ოსმალეთის წარმომადგენლათ დანიშნულია ისმეტ ფაშა.

ინგლისელებს გამყავთ გემები.

მოსკოვი. 16 მარტი. სტამბოლიდან იტყობინებიან, რომ ბრიტანეთის 4 კრეისერი სტამბოლიდან გაიყვანეს მალტაში და გიბრალტარში. ამის გამო ფიქრობენ, რომ ახლო-აღმოსავლეთის კრიზისის გადაჭრის პერსპექტივები გაცილებით მეტს იმედებს იძლევა.

ოსმალეთის კონტრ-წინადადების განხილვა.

პარიზი. 16 მარტი. პარიზში მიიღეს ოსმალეთის კონტრ-წინადადებანი, რომელიც მოითხოვს მოკავშირეთა საზავო ხელშეკრულების პროექტის ზოგიერთ მუხლების გაუქმებას და შეცვლას. ოსმალეთის კონტრ-წინადადება გადაეცა საფრანგეთის ექსპერტებს დასკვნისათვის. კვირას საფრანგეთის ექსპერტები მიემგზავრებიან ლონდონში ლორდ კერზონთან და იგლისის ექსპერტებთან სათათბიროთ. შესაძლებელია, რომ ამ თათბირში მონაწილეობას მიიღებენ იტალიის ექსპერტები.

საქართველოს კომპარტიის მეორე ყრილობა

რეზოლიუცია ცეკას პოლიტიკურ და ორგანიზაციული მუშაობის შესახებ

საქართველოს კომპარტიის მე2-ე ყრილობა აღიარებს რომ: 1) პოლიტიკის სფეროში ახალმა ცენტრალურმა კომიტეტმა სისწორით წამოაყენა და გაატარა ცხოვრებაში მისი მუშაობის ოთხი თვის პერიოდში ყველაზე უფრო მტკივნეული საკითხები საქართველოში: სოფლის მშრომელ მასების სასარგებლოდ აგრარული რეფორმის დამთავრება, სახალხო სასამართლოების მშრომელთა დიქტატურის ორგანოებად გადაქცევა, ბრძოლის გაძლიერება მენშევიკების და სხვა ანტი-საბჭოთა პარტიების წინააღმდეგ, რამაც გამოიწვია მათი რიგების დაშლა, მუშაობის გაძლიერება ნაციონალურ კულტურის დარგში და სხვ. 2) ორგანიზაციულ სფეროში ცენტრალურმა კომიტეტმა შესძლო მჭიდრო ორგანიული კავშირის მოგვარება და აღდგენა და ის ანხორციელებს ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებზე მტკიცე ხელმძღვანელობას, რასაც შედეგად მოჰყვა ადგილებზე პარტიული მუშაობის გამოცოცხლება და აგრეთვე კავშირის გაბმა მუშათა კლასის და გლეხობის ფართო უპარტიო მასებთან, მთელ რიგ პრაქტიკულ ღონისძიებათა გატარების ნიადაგზე.

იღებს რა მხედველობაში ყოველივე ამას, ყრილობა სავსებით იწონებს ახალი ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ და ორგანიზაციულ ხაზს.

საქართველოს კომპარტიისათვის ყრილობა აღიარებს მორიგ ამოცანებად:

1. ძირითადი ამოცანაა დავამტკიცოთ საქმით, რომ საბჭოთა ხელისუფლება სავსებით უზრუნველყოფს კლასობრივ ინტერესებთან ერთად მშრომელთა არა მარტო ეკონომიურ არამედ ნაციონალურ ინტერესებსაც.

2. ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფედერაცია აღიარებულია ისეთ ფორმად, რომელიც უზრუნველყოფს კავკასიაში ნაციონალურ მშვიდობიანობას და მოაწესრიგებს ეროვნებათა სახელმწიფოებს შორის ურთიერთობას და საბოლოვოთ აღმოფხვრის აზნაურთა და ბურჟუაზიულ (მენშევიკების, დაშნაკელების და მუსავატელების) ბატონობის ხანაში დაწყებულ ბრძოლას და ამიერ-კავკასიის ხალხთა ურთიერთ შორის უნდობლობას. ფედერაციის პრაქტიკაში უნდა მიეცეს ისეთი მოქნილი ფორმები რომელიც სრულიადაც არ უნდა არღვევდეს ფედერატიულ რესპუბლიკების დამოუკიდებლობას მეურნეობის და მართვა გამგეობის ყველა იმ დარგებში, რომელიც არ მოითხოვენ დაუყოვნებელ გაერთიანებას ამიერ-კავკასიის მაშტაბით, პოლიტიკური და ეკონომიური ხასიათის მოტივების გამო.

3. ამიერ-კავკასიის ფედერაციის ფედერატიულ ორგანოების აღმშენებლობის კონკრეტიული ფორმები და სახალხო კომისარიატების განაწილება ამიერ-კავკასიის ფედერაციის დამოუკიდებელ რესპუბლიკებსა და სოც. საბჭ. რესპუბლიკების კავშირის შორის, უნდა იქნას განხილული პარტიული ყრილობის კომისიებში დღის წესოიგის სათანადო მუხლის თანახმად; (ეროვნული საკითხი პარტიულ და სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში).

4. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რათა გაერთიანებულ აპარატებს არავითარ შემთხვევაში არ შეეძლოთ გადაქცევა „ველიკორუსულ" ნაციონალიზმის გამტარებელ იარაღათ, ყოველგვარ ასეთ ცდის წინააღმდეგ პარტიამ უნდა აწარმოვოს გაბედული და სისტემატიური ბრძოლა.

5. მემამულეებისაგან მიწების ჩამორთმევა და მიწის კანონის განხორციელება რევოლიუციონური ტემპით უნდა მოხდეს. გლეხთა მასების ნდობის მოპოვება აგრარულ რეფორმის სწრაფი გატარებით არის პარტიის დამკვრელი ამოცანა, რომელიც ვერ ითმენს გადადებას და რომელიც მოითხოვს პარტიის ყველა წევრთა ძალ-ღონის გაერთიანებას კულტურულ მეურნეობის, მაღალი კულტურის და სხვათა შენარჩუნების ამოცანები ამასთანავე ერთად უნდა იქნან მიღებული მხედველობაში არსებულ კანონების თანახმად.

6. საჭიროა ზედმიწევნით დავიცვათ ნაციონალურ ცრუმორწმუნეობის გახრწნის და დაძლევის ის მეთოდი, რომელიც აღნიშნულია, როგორც რუს. კომპარტიის (ბოლშევიკების), 10 ყრილობის რეზოლიუციებში, ისე ამხ. ლენინის წერილის საერთო დებულებაში. საქართველოს კომუნისტებმა განსაკუთრებით უნდა მიიღონ მხედველობაში ყველა ამ პარტიულ დოკუმენტებში აღნიშნული დებულებები და განსაკუთრებული სიფრთხილით მოეპყრან ეროვნულ გრძნობებს ჩაგვრაში გამოვლილი ერის მასების ბუნებრივ უნდობლობას სხვა ერებისა და აგრეთვე დამჩაგვრელ ერების პროლეტარიატისადმი.

7) ამასთან ერთად საჭიროა ვაწარმოვოთ დაუზოგავი ბრძოლა კონტრ-რევოლიუციონურ პარტიების და კერძოთ მენშევიკურ პარტიის წინაალმდეგ, რომელთათვისაც ეროვნულ გრძნობებზე თამაში არის მხოლოდ იარაღი მშრომელ მასების უცხოეთის კაპიტალისათვის დასამონავებლად, რომლის მხრით დახმარებაშიაც მდგომარეობს მათი ერთად ერთი იმედი თავიანთ ძალა-უფლების დამყარებისა.

ამიერ-კავკასიის ყველა კომუნისტების სპეციალურ ამოცანას შეადგენს დაუღალავი სისტემატიური და განუწყვეტელი ბრძოლა კავკასიის სხვა და სხვა ხალხთა (კერძოთ ქართველებს, სომხებს და თათრებს შორის) სიძულვილის და უნდობლობის გრძნობებს, რომელსაც აღვივებენ ნაციონალისტები.

ასეთი გრძნობების ყოველგვარი გამოხატულება უნდა ჩაითვალოს შავრაზმელებათ და ანტისემიტიზმათ.

იმ გრძნობებთან ბრძოლის ერთ-ერთ მთავარ მეთოდს, რომლების განვითარებაში განსაკუთრებით დაინტერესებულია მენშევიკური, დაშნაკური და მუსავატისტური კონტრ რევოლიუცია, უნდა შეადგენდეს გაძლიერებული მუშაობა ყველა ერების მუშათა და გლეხთა შეკავშირებისათვის, სხვა ერთა მუშებისა და გლეხების ისტორიასა და კულტურასა და ბრძოლასთან გაცნობა და როგორც ფართო მასების, ისე და განსაკუთრებით ახალგაზრდობის ჭეშმარიტი ეროვნული აღზრდა.

სცნობს რა, რომ პარტიის მთლიანობა წარმოადგენს მთელი ჩვენი პარტიის პოლიტიკურ და ორგანიზაციულ ლოზუნგს, აცხადებს რა ყოველგვარ ჯგუფებს და ფრაქციებს გაუქმებულად, ყრილობა ავალებს ცენტრალურ კომიტეტს შეუბრალებლად სდევნოს ეს მახინჯი მოვლენები და მათ წინააღმდეგ ბრძოლაში არ დაერიდებიან არც პარტიიდან გამორიცხვასაც, რ. კ. პ. მე-10-ე და მე-11-ე ყრილობების დადგენილებათა თანახმად.

ინგლისელების ახალი ზრახვები.

ბერლინი. 16 მარტი. ლონდონში უკვე რამდენიმე დღეა გრძელდება თათბირი სირიის, პალესტინის და მესოპოტამიის „წარმომადგენლების" თათბირი „არაბეთის სახელმწიფოების კავშირის" მოწყობის შესახებ.

ტყვეების გაცვლა.

პარიზი. 16 მარტი. საბერძნეთსა და ოსმალეთს შორის სამოქალაქო ტყვეების გაცვლა დაიწყება 17 მარტს, სამხედრო ტყვეებისა კი 27 მარტს.

ოსმალეთის მცხოვრებთა შესახებ.

ანგორა. 16 მარტი. გაზ. „ისტიკბალი" მოწინავე წერილში იხილავს მის მიერ წინათ აღძრულ საკითხებს ოსმალეთის მცხოვრებთა შესახებ. გაზეთი სწერს: „ოსმალეთის მცხოვრებთა შემცირების საკითხი განცალკევებულია ევროპის სახელმწიფოების ასეთსავე საკითხებისაგან. იქ მთავარ როლს თამაშობს ეკონომიური, სოციალური და აღმზრდელობითი ფაქტორი. ჩვენში სულ სხვა საქმეა. თუმცა დაბადებულთა რიცხვი არ კლებულობს, მაგრამ ბავშვთა სიკვდილის შემთხვევები და სხვა და სხვა ავადმყოფობა ანადგურებს თითქმის დაბადებულთა ნახევარზე მეტს. ჩვენი ბავშვები ავადმყოფობა არ გავს ევროპის ავადმყოფობას. ამ ავადმყოფობათა მთავარი მიზეზია—უსუფთაობა და გაუნათლებლობა. დასავლეთში ბავშვთა დაბადების რიცხვი მცირეა დაგვიანებით დაქორწინების გამო. ჩვენში ამას ადგილი არ აქვს, რომ ჩვენში რიგიანათ იყოს დაყენებული ახალ დაბადებულთა და გადამდებ სნეულებებით დაავადებულ მოზრდილოა მოვლა, რამოდენიმე წელში შეივსებოდა ჩვენში მცხოვრებთა ნაკლულევანება. სალი ეფენდის წინადადებას მრავალცოლიანობის და სავალდებულიანობის ტ სავალდებულო დაქორწინების შესახებ, არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. საჭიროა მხოლოდ შეიცვალოს სანიტარული და გიგიენური პირობები, გავრცელდეს განათლება და მაშინ მცხოვრებთა რაოდენობა გაიზრდება".

ინგლისის ამბები

შეკითხვა ირლანდიელთა დატუსაღების შესახებ.

მოსკოვი. 16 მარტი. რამზეი მაკდონალდმა თემთა პალატაში შეკითხვა შეიტანა ინგლისის მთავრობის მიერ მოხდენილ ირლანდიელთა მასიურ დატუსაღების შესახებ. შეკითხვის საპასუხოთ შინაგან საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ დატუსაღება დაკავშირებულია ირლიანდიის რესპუბლიკანელთა მოსალოდნელ გამოსვლის გამო. მინისტრის განცხადების თანახმად დატუსაღება მოხდა ირლანდიის მთავრობის თხოვნით.

შეთქმულება დიდი ბრიტანეთის მთავრობის წინააღმდეგ.

მოსკოვი. 16 მარტი. ირლანდიის რესპუბლიკანელთა გადასახლების გამო, „მორნინგ პოსტი" იუწყება, რომ ეს ზომა მიღებული იყო ზოგიერთ დოკუმენტების დაჭერის გამო, რომლებიდან სჩანს, რომ შეთქმულება მიმართული იყო არა ირლანდანდიის არამედ დიდ ბრიტანეთის მთავრობის წინალმდეგ.

ინგლისის ბიუჯეტი და რურის ოკუპაცია

მოსკოვი. 15 მარტი. ინგლისის თემთა პალატაში დებატების დროს, სადაც ირჩეოდა საგარეო საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტი, ლიბერალების ლიდერმა საიმონმა წინადადება შეიტანა ამ სამინისტროსთვის კრედიტის შემცირების შესახებ, მთავრობის პოლიტიკის სისუსტისა გამო ისეთ სერიოზულ საკითხში, როგორიც რურის ოკუპაციაა. საიმონი მიუთითებდა იმ გარემოებაზე, რომ ინგლისის საოკუპაციო არმია ამ ჟამად სავსებით გარს. შემორტყმულია ფრანგებისაგან, იმის მაგიერ, რომ მას ჰქონდეს საკუთარი სექტორი მოკავშირე ჯარების საზღვარზე. ამის გამო ინგლისის ვაჭრობის საქმე. საიმონის განცხადებით დიდ ზარალს განიცდის. გერმანელების ისედაც უძლური წინააღმდეგობა, როგორც სჩანს დასასრულს უახლოვდება, რადგან იქ აქვს ადგილი მხოლოთ ექსცესებს. საიმონის აზრით დადგა ის დრო, როდესაც ინგლისის მთავრობამ უნდა გამოსთქვას გადაჭრით თავისი აზრი,—უპასუხებს თუ არა საფრანგეთის ოპერაციები ვერსალის ხელშეკრულების პირობებს.

თავის მხრივ მონსლეიმ მთავრობას კითხვა დაუსვა—რატომ არ შეიძლება სეპარატიულად ან და ამერიკასთან ერთად გამოყენებულ იქმნას ინგლისის ეკონომიური და საფინანსო რესურსები, რათა დამშვიდებულ იქნენ ყველაზე უფრო უკმაყოფილო ერები.

მთავრობის წარმომადგენელმა უარი განაცხადა შეკითხვაზე პასუხის გაცემაზე—სთვლის თუ არა ბრიტანეთის მთავრობა საფრანგეთის ოპერაციებს ვერსალის ხელშეკრულების დარღვევათ. საფრანგეთი, განაცხადა მან, მიდის დათმობაზე ინგლისის სავაჭრო ინტერესების სასარგებლოთო.

ბიუჯეტი დამტკიცებულ იქნა პარლამენტში 249 ხმით წინააღმდეგ 201-სა. ასეთი არაბევრათ გადამეტებული ხმათა უმრავლესობა მთავრობას ჯერ არ უნახავს.

მდგომარეობა საფრანგეთში

გალაშქრება კომუნისტების წინააღმდეგ.

მოსკოვი. 16 მარტი. საფრანგეთის სამხედრო მინისტრმა მაჟინომ წინადადება შეიტანა დაიწყოს სამოსამართლო კვლევა-ძიება კომუნისტურ გაზეთის „იუმანიტეს" წინააღმდეგ. მაჟინომ ერთ ერთ წერილში, რომელიც მიმართულია რურის ოკუპაციის წინააღმდეგ, ხედავს საფრანგეთის არმიის შეურაცყოფას და რურის მცხოვრებთა წაქეზებას, წინააღმდეგობა გაუწიონ ოკუპანტების მოქმედებას.

რუსეთთან ურთიერთობის განახლების სასარგებლოთ.

მოსკოვი. 15 მარტი. საფრანგეთის პრესის ნაწილი ხელ ახლა უბრუნდება საკითხს რუსეთთან ურთიერთობის განახლების შესახებ. კლემანსოს ორგანო „ომ ლიბრი" მხარს უჭერს მოსკოვში სპეციალურ კომისიის გაგზავნას. ერიო გაზ. „ინფორმასიონში" დაჟინებით მოითხოვს მოსკოვში სავაჭრო მისიის გაგზავნას. გაზეთი „ერ ნუველი" ფიქრობს, რომ, თუ საფრანგეთს სურს მიაღწიოს გერმანიასთან ნაყოფიერ მოლაპარაკების განახლებას, საჭიროა მოლაპარაკება მიმართონ მოსკოვთანაც.

ინტერესი რუსეთის განყოფილებისადმი ლიონის ბაზრობაზე.

მოსკოვი. 16 მარტი. ლიონში 14 მარტს ერიოს მიპატიჟებით გაიმართა საუზმე, რომელზედაც დაესწრენ საფრანგეთის ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი, უცხოეთის დელეგატები და საბჭოთა დელეგაცია ამხ. სკობელევის მეთაურობით. საუზმის დროს საბჭოთა დელეგაციას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდენ: საუზმის შემდეგ მრავალ-რიცხოვანი ხალხის თანდასწრებით ვაჭრობის მინისტრმა დაათვალიერა საბჭოთა პავილიონი, რომელზედაც აღმართული იყო საბჭოთა დროშა. პავილიონის შესავალთან გაიმართა მნახველების გრძელი რიგი. რუსეთის ექსპონატები ლიონის ბაზრობაზე დიდ ინტერესს იწვევს.

ბრიუსელის თათბირი

მოსკოვი. 15 მარტი, 13 მარტს ბრიუსელიდან პარიზში დაბრუნდა პუანკარე.

გაზეთი „ტანი" სიამოვნებით აღნიშნავს იმ შთაბეჭდილებას, რომელიც მოახდინა ბრიუსელში საფრანგეთ-ბელგიის მოლაპარაკებამ, რაც ააშკარავებს ოროავე მთავრობის საერთო შეხედულებას რურის საკითხში. ამ თათბირზე გამომუშავებულ იქნა რურის ოკუპაციის პროგრამის ტეხნიკური მხარე და ზომები, რომელთაც მოკავშირეები მიმართავენ იმ შემთხვევაში, თუ გერმანიის მხრით წინააღმდეგობას ექნება ადგილი. ბრიუსელის თათბირმა დაადგინა, რომ რურის ოლქი და ახლათ დაკავებული ადგილები რეინის მარჯვენა მხარეზე დაცლილ იქნება მოკავშირეებისგან, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გერმანია ნამდვილათ შეასრულებს თავის ვალდებულებებს და არ შეჩერდება თვისი მთავრობის უსაფუძვლო დაპირებებზე.

შორეულ აღმოსავლეთში

იაპონია.

უარს ამბობენ ჩინეთ-იაპონიის ხელშეკრულების გაუქმებაზე.

მოსკოვი. 16 მარტი. თანახმად ვაშინგტონში მყოფ იაპონიის საელჩოს ცნობებისა, იაპონია უარს ამბობს 1915 წლის ჩინეთ-იაპონიის ხელშეკრულების გაუქმებაზე. იყრდნობოდა რა ვაშინგტონის კონფერენციის გადაწყვეტილებას, ჩინეთის მთავრობა დაჟინებით მოითხოვდა აღნიშნულ ხელშეკრულების გაუქმებას.

საბჭოთა საელჩო იაპონიაში.

მოსკოვი. 16 მარტი. იაპონიის გაზეთებში გამოქვეყნებულია ცნობა, რომ იაპონიის მთავრობამ გადასწყვიტა დასთანხმდეს ცუ-რუგეში საბჭოთა ნახევრათ-ოფიციალურ საელჩოს გახსნაზე.

ამხ. იოფე იაპონიაში.

მოსკოვი 16 მარტი. ტოკიოდან იტყობინებიან, რომ 11 მარტს ამხ. იოფე ინახულეს იაპონიის პარტიების წარმომადგენლებმა კენოსკაიმ და კაკურიტმა, რომლებიც ყველა დიდ გაზეთების წარმომადგენელთა თანადასწრებით, აწარმოებდნენ ამხ. იოფესთან ხანგრძლივ საუბარს რუსეთ-იაპონიის ურთიერთობის შასახებ.

სხვადასხვა ამბები

აჯანყება სამხრეთ ამერიკაში.

რომი. 16 მარტი. „ტაიმს"-ის ცნობით პარაგვაის მეამბოხეებმა ხელში ჩაიგდეს ქალაქი ვილლარიკა.

სისხლის მღვრელი შეტაკება ბარსელონაში.

რომი. 16 მარტი. პადრიდიდან იუწყებიან, რომ ბარსელონაში პოლიციისა და სინდიკალისტებს შორის ადგილი ქონდა სისხლის მღვრელ შეტაკებებს. მოკლულია 2 სინდიკალისტი. პროტესტის ნიშნათ მუშებმა საყოველთაო გაფიცვა გამოაცხადეს.

ირლანდია

სიკვდილით დასჯის განახლება.

მოსკოვი. 16 მარტი. ირლანდიის მთავრობამ 13 მარტს განაახლა სიკვდილით დასჯა. დასჯილია 7 კაცი შეიარაღებულ თავდასხმაში მონაწილეობისათვის და იარაღის შენახვისათვის. ირლანდიაში ხელახლა აღმოაჩინეს იარაღის ფარული საწყობები.

რუსეთ-ამერიკის ურთ ერთობა

თუმცა უკმაყოფილონი არიან, მაგრამ მაინც სცნობენ.

მოსკოვი. 15 მარტი. ვაშინგტონის სააგენტოს „იუნაიტედ პრესს"-ის ცნობით ამერიკის მთავრობის წრეები, მიუხედავათ ჩიჩერინის განცხადებისა, ინტერვიუში ამავე სააგენტოს წარმომადგენელთან, სკეპტიკურათ უყურებენ რუსეთთან ურთიერთობის აღდგენის შესაძლებლობას. გაეცნენ რა ამერიკის მთავრობის წარმომადგენლის განცხადებას, გადაჭრით აღნიშნავენ, რომ რუსეთისა და ამერიკის ურთი-ერთ დამოკიდებულება არ შეცვლილა. მათი აზრით, რუსეთი არ მისცემს გარანტიას უცხოელთა საკუთრების და ხელშეკრულებების საკითხში. ამერიკის წრეებში აღნიშნავენ, რომ მრავალ წარმოებებს და ქონებას, რომელიც ეკუთვნოდა ამერიკელებს, კონფისკაცია უყვეს ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ და ამ დრომდე არ დაუბრუნებიათ. საბჭოთა მთავრობა არ ცნობს აგრეთვე რუსეთის ვალს ამერიკის მიმართ, რომელიც უდრის 117 მილ. დოლარს. იმავე დროს მთავრობის წრეებში განსაკუთრებით ხაზს უსვამენ, რომ ამერიკის ეხლანდელი მთავრობა სრულბით არ შიისწრაფვის [illegible] საბჭოთა ხელისუფლება. ამ [illegible] დინგის პოლიტიკის და [illegible] ლიტიკის განსხვავება. [illegible] ულობს მხოლოდ, რომ [illegible] ვრობამ [illegible] გადო და კერძო ხელშეკრულებ მიუხედავათ საბჭოთა საწინააღმდე გო პოზიციისა, რუსეთის ტელეგრა ფის სააგენტოს კორესპონდენტმა ზამ სარწმუნო წყაროებიდან გა რომ უკანასკნელ დროს მოხდა გა ყობილების საგრძნობი შეცვლა ამ რიკის წრეების ყველაზე უფრო კო სერვატიულ ელემენტებშიაც კი, რო ლებმაც თანდათანობით შეიგნეს სა ჭოთა რუსეთის ცნობის აუცილე ლობა.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

ნოტა მექსიკას.

მოსკოვი, 16 მარტი. მექსიკის შეერთებულ შტატების მინისტრთა საბჭოს სახელზე გაგზავნილ ნოტაში საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის თანაშემწე ლიტვინოვი ითხოვს ჩამორთვას დიპლომატიური არქივი ვინმე ბარონ როზენბერგ'-, რომელიც რუსეთის კონსულის სახელს ითვისებს. ნოტა აღნიშნავს, რომ რუსეთის მთავრობა მზათ არის აღადგინოს დიპლომატიური კავშირი მექსიკასთან.

პოლონელ კომუნისტების ჩამოსვლის შესახებ.

მოსკოვი, 16 მარტი. ხანგრძლივ მოლოდინის და მოლაპარაკების შემდეგ 23 პოლონელი კომუნისტი გამოგზავნილ იქნენ ჩვენ საზღვარზე პოლონელ მძევლებზე გადასაცვლელათ. თანახმათ მიღებულ ცნობებ გადასაცვლელათ დანიშნული კომ ნისტები დომბალის მეთაურობ ხელახლად დაკავებულ იქნენ პოლო ნეთის მთავრობის მიერ ბარანოვიჩ ამის გამო საგარეო საქმეთა სახალ კომისარმა გადასცა პოლონეთის წა მომადგენელს მოსკოვში ნოტა, რო მელიც აუწყებს პოლონეთის მთავ ბას, რომ საგარეო საქმეთა სახა კომისარის მიერ გაცემული განკ გულება დაბრუნებულ იქნას მხ ში 23 მძევლებთა ჯგუფი, რომე უნდა გადასცემოდა პოლონეთის მ ვრობას კომუნისტების ნაცვლათ. 19 მარტისათვის პოლონელი კო ნისტები არ იქნებიან მოყვანილი საზღვარზე და გადაცვლა ამ დრ სათვის ფაქტიურათ არ მოხდა, მთ პასუხისმგებლობა შედეგებისა დააწვება პოლონეთის მთავრობა

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

სომხეთი

სომხეთის კომპარტიის ყრილობა.

ერევანი. 15 მარტი. სომხეთის კომპარტიის ყრილობაზე მოხსენებით გამოვიდა სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ლუკაშინი, რომელიც შეჩერდა რესპუბლიკის და პარტიის მდგომარეობაზე პირველ ყრილობიდან მეორე ყრილობამდე. წინანდელ მთავრობის მიერ დატოვებულ განადგურებულმა და დამშეულმა რესპუბლიკამ წამოაყენა მთელი რიგი რთულ და მძიმე საკითხებისა, რომლებიც სასახელოთ გადასჭრა ჩვენმა პარტიამ. გადავიდა რა პოლიტიკურ საკითხებზე, რომლებითაც დატვირთული იყო კომპარტია, ამხ. ლუკაშინი შეჩერდა ამიერ-კავკასიის ფედერაციის შექმნაზე აზერბეიჯანის, საქართველოს და სომხეთის კომპარტიების საშვალებით ფედერაცია განხორციელებულია მტკიცე საფუძვლებზე. შეეხო რა შემდეგ ეროვნულ საკითხს, მომხსენებელი შეჩერდა კომპარტიის მუშაობაზე ნაციონალურ უმცირესობათა საკითხში მიუხედავათ კულტურულ ძალების და მატერიალურ სახსარის სიმცირისა, კომპარტია მუშაობდა დიდის წარმატებით. შეეხო რა საკითხს ეკლესიის შესახებ, ამხ. ლუკაშინმა ხაზი გაუსვა მას, რომ სომხეთის ეკლესია კათალიკოსის სახით აწარ ებდა კომპანიას საბჭოთა ხელისუფ ბის წინააღმდეგ. ამაზე საპასუ ჩამორთმეულ იქნა საეკლესიო მ და დაიწყო ძლიერი კომპანია ე სიის წინააღმდეგ. ამხ. ლუკაშ მოხსენების შემდეგ გამოვიდა ამ გრაბიანცი მოხსენებით საორგა ციო საკითხების შესახებ. მეორ მესამე სხდომაზე სწარმოებდა კ ცეკას მოხსენების შესახებ. კ დასრულდა რეზოლიუციის მიღ რომელიც აღნიშნავს ცეკას პოლ კურ ხაზის სისწორეს.

არჩეულია კომისია მომავალ ს განიზაციო მუშაობის დირექტ გამოსამუშავებლათ 14 მარტის მაზე ამხ. მრავიანმა [illegible] ბა რუსეთის კომპარტიის 25 თავის და მარქსის გარდაცვა 40 წლის თავის შესახებ. ამხ. სიანცი გამოვიდა მოხსენებით ტიის აღმზრდელობითი მნიშვნ ბის შესახებ.

გლეხთა ყრილობა.

მოხდა ვედიბასარის რაიონის გ თა ყრილობა, რომელზედაც ირჩ კითხვები:—მებამბეობის, მიწათ ყობის, მორწყვის და გაზაფხულ სვის კომპანიის.

უკრაინაში მიღებული ჩემი შთაბეჭდილებანი და ნააზრევი

(დასასრული*)

გზა გაიკაფეს!

როგორ ვაფასებდი პირადათ მე პოდოლიაში ყოფნ ს დროს გარემოებათა ვითარებას ახალ ეკონომიურ პოლიტიკის ხანაში? უნდა გამოვტყდე, რომ 1921 წელს ჩემი განწყობილება ჯერ კიდევ ორმაგი იყო.

მე თავიდანვე დარწმუნებული ვიყავი, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკა სოციალისტურ რევოლიუციის ერთათ ერთი ხსნის გზა იყო, რომ სხვა გამოსავალი არ არის და მაინცა და მაინც არ მაღონებდა ის გარემოება, რომ რამდენათაც ახალი ეკონომიური პოლიტიკა ფართოთ უღებდა კარს თავისუფალ ვაჭრობას და მუშებში არევ-დარევას იწვევდა, რამდენათაც მას ფაბრიკა-ქარხნები სამეურნეო ანგარიშზე გადაჰყავდა, ის ბურჟუაზიაში იმედებს და სიხარულს იწვევდა: მე მესმოდა, რომ ყოველთვის, ასე ი მძაფრ შებრუნების დროს აუცილებელია ილიუზიები მოწინააღმდეგეთა ბანაკში და იმედების დროებითი გაცრუება თავის მომხრეთა შორის. მაგრამ მე სხვა რამ მგვრიდა ეჭვს.

ვხედავდი რა, რა რიგ სწრაფათ გადავიდა საბჭოთა ხელისუფლება კრონშტადტის ამბოხების შემდეგ სურსათის განაწილებიდან საქონლის გაცვლა-გამოცვლაზე, და ამ უკანასკნელიდან ფულის მეურნეობაზე, მე, პოლიტიკურ ცხოვრების ცენტრს სრულიათ მოშორებული და მოკლებული სხვა რაიმე წყაროს გარდა მოსკოვის გაზეთების იშვიათი ნომრებისა, როდესაც წავიკითხე ლენინის განცხადება, რომ „ჩვენ ჯერ არ ვიცით რამდენ ხანს გაგრძელდება ჩვენი უკან დახევა და რომელ ბუჩქს მოვეჭიდებითო", მე, ყოველგვარ ფანტასტიურ ჭორების ატმოსფერაში მყოფი, შეშინებული ვეკითხებოდი ჩემს თავს: პანიკური უკან დახევა ხომ არ არის ეს? დაგვიანებული ხომ არ არის ახალ ეკონომიურ პოლიტიკის გზაზე ჩვენი შედგომა? ხომ არ განიცდის თვით ხელისუფლება სასოწარკვეთილებას, რომ ის ვერ შესძლებს იმ პოზიციაზე შეჩერებას, რომელიც უზრუნველჰყოფს სოციალიზმისაკენ წინსვლას? თუ ეს ასეა, ვამბობდი მე—თუმცა კი არ ვკარგავდი იმედს, რომ ეს ასე არ არის—თუ აღმოჩნდა, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ განახორციელა მხოლოდ ის, რაც სურდა, მაგრამ არ შეეძლო განეხორციელებინა კოალიციონურ ხელისუფლებას, რომ მან მოახდინა მხოლოდ რადიკალური ბურჟუაზიული რევოლიუცია, განა გაცილებით მეტი თოფის წამალი არ დაიწვა, ვიდრე საჭირო იყო ამ ფრიად განსაზღვრულ მიზნისათვის? განა საჭირო იყო ამოდენა ქონების მტვრევა?

ეს ეჭვი და შიში გაქარწყლდა 1922 წლის გაზაფხულზე, როდესაც მე წავიკითხე რ. კ. პ. მე-11 ყრილობაზე ლენინის მიერ წარმოთქმული ავტორიტეტული განცხადება, რომ უკან დახევა დასრულებულია, რომ ჩვენ საკმაოთ გამაგრებული ვართ და შეგვიძლია არც ერთი ნაბიჯით არ დავიხიოთ კიდევ. როდესაც დავინახე, თუ როგორ მტკიცეთ იცავდა თავის პოზიციას ჩვენი დელეგაცია გენუიას კონფერენციაზე ქარხნებისა და ფაბრიკების ყოფილ მესაკუთრეებისათვის დაბრუნების საკითხში' მაშინ მე დავრწმუნდი, რომ ოქტომბრის რევოლიუციამ მიიღო უკვე ისტორიული გამართლება და რომ მისი გამარჯვებები ან არ ამოიშლება ისტორიის ფურცლებიდან, როგორი ბედიც არ უნდა მოგველოდეს ჩვენ მომავალში.

რასაკვირველია, მე არ ვიყავი იმდენათ გულუბრყვილო, რომ ასეთი დასკვნა მხოლოთ მძართველ პარტიის წინამძღოლის ოფიციალურ განცხადებიდან და ჩვენი დელეგაციის მხოლოთ ერთი დიპლომატიურ ნოტიდან გამომეტანა. ორი ფრიად მნიშვნელოვანი გარემოება ამტკიცებდა ჩემს რწმენას, რომ ლენინისა და ჩვენი დელეგაციის განცხადებები არ იყო მხოლოთ საპარადო ფრაზები, რომ ჩვენ ნამდვილ ისტორიულ გადატეხის წინაშე ვდგევართ, რომ ჩვენი საბჭოთა ხომალდი, მტკიცე ხელის ხელმძღვანელობით, რევოლიუციის ქარიშხალში საშინელ რყევის შემდეგ, მას შემდეგ, რაც მან განიცადა მთელი რიგი ავარიების, უკვე ასცილდა საშიშარ წყალქვეშა კლდეებს და კეთილ გზაზე გამოვიდა.

პირველი მიზეზი, რომელმაც გამიმტკიცა ეს რწმენა, იყო ის, რომ გენუის კონფერენციის ხანაში საბჭოთა ხელისუფლება გამაგრდა იმ პოზიციაზე, რომელიც რუსეთის სინამდვილის საღ მარქსისტულ ანალიზის თანახმათ, სრულიათ ესაბამება ჩვენ ეკონომიურ ჩამორჩენილობას და იმავე დროს წარმოადგენს სოციალიზმისაკენ, თუმცა ნელის, მაგრამ სისტემატიურ და გეგმაშეწონილ წინსვლის საკმაო საწინდარს.

შეინარჩუნა რა მსხვილ მრეწველობის ნაციონალიზაცია, როგორც სოციალიზმისაკენ წინსვლის საწინდარი და გაუწია რა ანგარიში ჩვენს ჩამორჩენილობას, საბჭოთა ხელისუფლებამ თავისი ახალი ეკონომიური პოლიტიკით გზა გაუხსნა წვრილ გლეხურ მეურნეობის განვითარებას. მართალია, ჩვენი დანგრეულ მეურნეობის პირობებში, განსაზოგადოებული მრეწველობა კიდევ დიდხანს მოითხოვს პროტექციონიზმს, რომელიც მძიმე ტვირთათ დააწვება გლეხურ მეურნეობას, მაგრამ ამ აუცილებლობას თანამედროვე პირობებში არ ასცდებოდა ბურჟუაზიული ხელისუფლება. ისიც იძულებული იქნებოდა მსხვილი მრეწველობის მიმართ პროტექციონისტური პოლიტიკა განეხორციელებინა, რათა დანგრეულ ქვეყნისათვის უცხო კაპიტალისადმი მონობა აეცილებინა. სამაგიეროთ საბჭოთა ხელისუფლებას შეუძლია მისცეს გლეხობას ის, რის მიცემა არ ძალუძს ვერავითარ ბურჟუაზიულ ხელისუფლებას: მხოლოთ საბჭოთა ხელისუვლება არ ალადგენს კერძო საკუთრებას მიწაზე; ეს კი ნიშნავს არა მარტო ბატონყმურ ნაშთთა სრულს აღმოფხვრას, არამედ, აგრეთვე, დაბრკოლებას კაპიტალისტურ რენტისათვის, რომელიც საყოველთაოთ სასოფლო მეურნეობის განვითარების მუხრუჭათ გახდა. მხოლოთ ის მოისურვებს და შესძლებს ბრძოლას წვრილ სავაჭრო შუამავლობის წინააღმდეგ, რომელიც გლეხურ მეურნეობის სხეულზე მჯდომ პარაზიტს წარმოადგენს. და, დასასრულ, მხოლოთ ის დაიცავს ენერგიულათ შრომის ინტერესებს მიწათმოქმედებაში ე. ი. ინტერესებს გლეხობისას, რამდენათაც უკანასკნელი მშრომელ კლასს წარმოადგენს.

რათა ყოველივე ეს სინამდვილეში განხორციელდეს, რათა გლეხი დარწმუნდეს სოციალისტურ ხელისუფლების უპირატესობაში ბურჟუაზიულის წინაშე, საჭიროა დრო, საჭიროა ვადა. და ეს დრო, ეს ვადა საბჭოთა ხელისუფლებაში ბრძოლით მოიგო საერთაშორისო ასპარეზზე და ეს არის მეორე გარემოება, რომელმაც ჩამისახა რწმენა, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ ბოლოს და ბოლოს გაიკაფა გზა სოციალისტურ აღმშენებლობისაკენ.

თვით ის ფაქტი, რომ ანტანტამ გენუიას კონფერენციაზე მოიწვია თავისი მოსისხლე მტერი, რომლის დახშობას ის სამი წლის განმავლობაში სცდილობდა იარაღის საშვალებით, მოწმობს იმას, რომ საბჭოთა რუსეთი მსოფლიოში უდიდეს, საყოველთაოთ ცნობილ ისტორიულ ფაქტორათ გადაიქცა. ჩემთვის ნათელი იყო, რომ ეს არ არის უბრალო დიპლომატიური გამარჯვება. ეს იყო შედეგი, ერთის მხრით, კაპიტალისტურ მსოფლიოს უკურნებელ სენისა და მეორე მხრით ჩვენი წითელ არმიის ძლევა მოსილ, გმირულ ბრძოლისა, იმ არმიის, რომელიც გაიზარდა და გამაგრდა ძველ არმიის ნანგრევებზე, სოციალიზმისათვის ბრძოლის ქარ-ცეცხლში, დიად ენტუზიაზმით აღსავსე ჩვენი მუშათა კლასის დახმარებით, რომელმაც ამ არმიას თავისი საუკეთესო ძალები მისცა.

წითელ არმიის ორგანიზაცია და მისი გამარჯვებები იყო უდიდესი დადებითი მიღწევა ოქტომბრის რევოლიუციისა 1921 წლამდე ეს მიღწევა ნაყიდი იყო ძალიან დიდ ფასათ, მაგრამ, სამაგიეროთ, მან გზა გასწმინდა ეკონომიურ ფრონტზე მომავალ სოციალისტურ გამარჯვებებისათვის. ეს მე ნათლათ მქონდა გათვალისწინებული ჯერ კიდევ უკრაინაში, რადგან იქ ვხედავდი მე, თუ როგორ იზრდებოდა და მაგრდებოდა ეს რევოლიუციის დარაჯი, რადგან იქ წითელი არმია ჩემ თვალის წინ გადიოდა არა ცერემონიალურ მარშით, არამედ მძიმე, სისხლ ს მღვრელ ბრძოლებში და მისი გმირული საქციელი სიამაყითა და შვებით ავსებდა ჩემს გულს, თუმცა მე ბოლშევიკი არ ვიყავი.

როდესაც ჩვენთან პირველათ ბ—ს პოლკის წითელ არმიელთა ნაწილი მოვიდა, მან თავისი საქციელით ვერ გამოიწვია ჩემში ჯერ ვერც სიყვარული ტ ვერც სიამაყე. მაგრამ წითელი არმია ჩემს თვალის წინ მტკიცდებოდა ამხან გურ და რკინის დისციპლინით. და რაც მეტს გადავფურცლავდი მისი ისტორიას, მით უფრო დიდებულათ მეჩვენებოდა მე ის.

მე მახსოვს, როგორ მოვიდნენ პირველათ პოლონელები: მშვენიერი მსუქანი ცხენები, ოფიცრები და ჯარისკაცები ბრწყინვალეთ ჩაცმულნი, იარაღი უკრიალებდათ. იმ დღესვე ოფიცრებმა ჩვენს ქარხნის გამგეობის სახლში ლუკულისებური ნადიმი გამართეს. სჩანდა, ყოველ მათგანს მზრუნველი და მდიდარი ბიძოლა ჰყავდათ. როდესაც ისინი წავიდნენ, მოვიდნენ წითელ-არმიელები: ღარიბ, ჭრელი და დახეულ ტან და ფეხსაცმელებით, ვის რა არ აცვია, ნახევრათ მშიერნი, მაგრამ, რაც ჩვენთვის სრულიათ ახალი იყო, მათხოვრობას უჩვეულნი. როდესაც მე შევადარე ეს ორი არმია, მეშინოდა, რომ ჩვენები პირველ შეტაკების შემდეგვე გაიქცევიან, როგორ შევცდი! ეს ნახევრათ მშიერი და დაკონკილი ჯარისკაცები ლომებივით იბრძოდენ და გარეკეს მტერი, რომელიც, რაოდენობით 5-ჯერ აღემატებოდა მათ. ეს სასწაულსა ჰგავდა! იმავე დროს მე გადმომცეს, რომ ქალაქ ბარში, რომელიც 16 ვერსით იყო ჩვენგან დაშორებული, წითელ არმიელების რამოდენიმე ასეული ორი დღე და ღამის განმავლობაში წინააღმდეგობას უწევდენ 10,000 პოლონელის შემოტევას!

მახსოვს, შემდეგ, რომ რომელიღაც პუნქტისათვის სოფელ ქენიშკოვეცის ახლო, ჩვენგან ათი ვერსის მანძილზე, მკაცრი ბრძოლა გაიმართა. ყოველ წუთს მოჰქონდათ ჩვენს საავადმყოფოში დაჭრილი წითელ არმიელები, ერთს ამხანაგს ყუმბარამ ფეხი მოსწყვიტა. სანამ ჩემი და ფეხს უხვევდა, მე ვეკითხებოდი სანიტარს: „როგორ არის საქმე იქ?"—„ჩვენი პოზიცია სუსტია, მაგრამ ჩვენები ძალიან მაგრათ სდგანან, დილისთვის უთუოთ ყველანი დავიხოცებითო",—მიპასუხა მან წყნარი კილოთი, თითქოს გულგრილათ და სრულიათ გულწრფელათ.

რამდენათაც ჩვენი ნაწილების მთლიანობა იზრდებოდა, იმდენათ პოლონელთა დისციპლინა, სხვა და სხვა სიმპატიების შეხედვით, სუსტდებოდა. ერთხელ როდესაც პოლონელებმა ჩვენი დაბა დაიკავეს, მე ფანჯრიდან ამგვარი სცენა დავინახე:

ვიღაც ოფიცერმა ბრძანება გასცა ჯარისკაცი დაეტუსაღებინათ. ორმა ჯარისკაცმა ხელი დაავლეს დამნაშავეს და წაათრიეს. ჯარის კაცი ჯიუტობდა და ძალით ეწინააღმდეგებოდა. გულმოსულმა ოფიცერმა გინება დაიწყო. მოგროვდა ჯარის კაცების ბრბო. ოფიცერის მრისხანე მოთხოვნილების მიუხედავათ, მათ არა თუ არ აასრულეს ბრძანება—სიცილიც კი დაიწყეს, დაბოლოს ოფიცერმა გულმოსულათ ხელი ჩაიქნია და ჯიუტი ჯარის კაცი დამსწრეთა სასიამოვნოთ განთავისუფლებული იქნა.

სჩანდა, რომ საფრანგეთიდან უფასოთ მიღებულმა მუნდირებმა და ტყვიის მტყორცნელებმა ვერ დაიკავეს საბჭოთა რუსეთთან ბრძოლის დროს, ენტუზიაზმის ადგილი!

რევოლიუციონური ენტუზიაზმი ქმნიდა დისციპლინას წითელ არმიაში უმძიმეს ხანებშიაც, როდესაც არმია მოკლებული იყო ტანსაცმელს და სურსათ-სანოვაგეს. და ამ ენტუზიაზმს მე ვამჩნევდი როგორც ჯარის კაცებს შორის, ისე მათ უფროსებშიაც. მახსოვს, ერთხელ პოლონელებმა შემოგვიტიეს. ჩვენს ბინაზე, კაბინეტში, განათევარ ღამისაგან და ღლილ სამხედრო კომისარს იანულიანისს ეძინა. როდესაც მტრის ცეცხლი სულ ახლო მოგვიახლოვდა მე გავაღვიძე ის. ის წამოდგა, ფანჯარაში გაიხედა და ფლეგმატიურათ წარმოსთქვა: „ბრძოლა ჯერ ორ-სამ ვერსის მანძილზეა ჩვენგან, მე კიდევ მოვასწრებ წაძინებასო", ნახევარ საათის შემდეგ, როდესაც ბრძოლა უკვე დაბაში გაჩაღდა, ის წამოხტა და ცხენს შეაჯდა. მახსოვს მეორე შემთხვევაც.

ჩვენ ბინაზე იდგენ რომელიღაც ნაწილის საგანგებო განყოფილების უფროსი კალინინი და ორი წითელი არმიელი. ჩვენი ნაწილები უკან იხევდენ, მთელი შტაბი წასული იყო უკვე დილისით. სადილის დროს მე ვკითხე კალინინს, რას აპირებს ის. მან მიპასუხა: „მე ჯერ დავრჩები. ჩემი წესია—უკან დავიხიო ყველაზე ბოლოს". საღამოს, ჩაის სმის დროს, როდესაც დაბაში არც ერთი წითელ არმიელი არ იყო, ქუჩაზე ყიჟინა გაისმა—„სლავა!" და ვინტოვკების ტკაცუნი მოისმა. ეს პეტლიურელი ცხენოსნები იყვნენ, კალინინი წამოხტა, ხელი დაავლო ქუდსა და ბარგს და მის თანამგზავრების თანხლებით უკანა ეზოში გამოვარდა, სადაც მას ეტლი უცდიდა. კაბინეტში, მის მაგიდაზე ხელის ყუმბარა და აბგა დარჩა. უკვე ტყვიების ხტვენის ქვეშ ჩემმა დამ ეზოში ყუმბარა გამოიტანა, მე ეტლში აბგა ჩავდევი, შემდეგ ჩვენ სახლში დავბრუნდით და სულ-განაბული ველოდით კალინინის ბედს. როდესაც გათენდა ჩვენ ფანჯარაში გამოვიხედეთ,—ეტლი ეზოში აღარ იყო. ერთი თვის შემდეგ ჩვენ გავიგეთ, რომ კალინინს ეზოში დაუცდია და როდესაც პეტლიურელთა ცხენოსნები გზატკეცილს გაუდგენ, მან გადალახა ქუჩა ცალი ცხენით და გაქანდა ცალი ცხენით დარჩენილ პეტლიურელთა სროლის ქვეშ. მეორე ცხენი მოუკლეს.

საუკეთესო, ანუ უფრო სწორათ რომ ვთქვა, ერთათ-ერთი ჩემი კეთილი მოგონება, რომელიც დამრჩა უკრაინაში ყოფნიდან, ეს არის წითელ არმიის ჯარისკაცებთან და კომანდირებთან შეხვედრის და ნაცნობობის მოგონებები. და თუ 1922 წლის გაზაფხულს მე დაუჯერე განცხადებას, რომ ეკონომიურ ფრონტზე ჩვენ მეტს აღარ დავიხევთ, რა რიგ ძლიერი არ იქნეს დიდი და მცირე ანტანტის შემოტევა, ამ რწმენას მე მანიჭებდა შეგნება, რომ ჩვენი წითელი არმია მისი პროლეტარულ, კომუნისტურ გულით ცოცხალია და მედგრათ სდგას საბჭოთა რესპუბლიკის სადარაჯოზე.

მე ვიმეორებ, მხოლოდ 1922 წლის გაზაფხულს მე საბოლოვო ჯამი გავკეთე უკრაინაში მიღებულ ჩემს შთაბეჭდილებებსა და ნააზრევს და დავრწმუნდი, რომ კომუნისტურმა პარტიამ, რომელიც ხელმძღვანელობდა და ხელმძღვანელობს ოქტომბრის რევოლიუციას, ბოლოს და ბოლოს კარგათ დაიჭირა ისტორიული გამოცდა. ოქტომბრის რევოლიუცია, როგორც ყველა წარსული დიდი რევოლიუციები, განსაზღვრულ პერიოდში სტიქიურათ უფრო წინ წავიდა, ვიდრე ამ ს საშუალებას იძლეოდნენ ქვეყნის ეკონომიური პირობები, მაგრამ წინააღმდეგ ყველა წარსულ რევოლიუციების მაგალითისა, მან არ გამოიწვია კონტრ-რევოლიუციის გამარჯვება, რადგან მარქსისტულ გონებით შეიარაღებულმა კომუნისტურმა პა დროზე შესძლო ჩვენი მატ სხვა ლიანდაგზე გადაეტანა— საც განვლო ძალა-უფლებ უშუალო ბრძოლის ხანამ, იმ რომ გზა განეგრძო უფრო ს უკატასტროფოთ. ეს—მარქსიზ ადი ზეიმია.

მივედი თუ არა ამ დასკვნამ დამრჩა მხოლოდ ოქტომბრის ლიუციის თვალსაზრისით მენშ სა და ბოლშევიზმის ძველი გადაფასება. ამას მე ვიზამ ამ მეორე ნაწილში, რომელსაც ლათ ყოველისა მე უძღვნი მენშ იმათ, რომლებთან ერთად ხე მე მრავალწელს ვიბრძოდი ს რევოლიუციონურ საქმისათვი

მესამეჯერ მე გარდავაფა სიცოცხლეში ჩემი შეხედ პირველათ მე ეს მომიხდა მაშ დესაც „ნაროდნიკობიდან" მ მის თვალსაზრისზე გადავიდ ორეჯერ მაშინ, როდესაც „ დელსტვო" მენშევიზმის თვალ სით შევსცვალე. მესამეჯერ როდესაც მენშევიზმიდან კომ გადავდივარ. ძნელია საკუთ დულებების გარდაფასება. მ ვინუგეშებ თავს მით, რომ ლებების გარდაფასების საქ კეთილი წინამორბედნი მყავ ყებული თვით „დაუდეგარ ონისაგან", და მე კიდევ მი გეშებ თავს, რომ ყოველ ამ მახვეაში, მე მივდიოდი წინ, ლიუციის განვითარების მიმა ბით და არა უკან.

უფრო სამწუხაროა ჩემთვი რამ. სახელდობრ ის, რომ როდესაც კომუნისტები ბურ მსოფლიოს ებრძოდენ, სც და ასწორებდენ თავიანთ შე ბორძიკობდენ და ისევ ფეხზე დენ, მე უკრაინაში ოთხი წე ტარე საკუთარ თავთან და პა ცრუმორწმუნოებასთან ბრძოლ ცოდვისათვის მე დავიმშვიდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ერ ამ ოთხი წლის განმ გატარებული თვით კრიტიკ საქმე, გაუადვილებს კომუნის ბიარობის ტკივილებს ბრავალ ვიკს, რომლებიც, მე დარწმ ვარ, გრძნობენ ეხლა, ვგრძნობდი ამას მე, რომ ში მომეწყვდენ, მაგრამ არ როგორ გამონახონ გამოსავა

ა. მარტინ

---

* იხ. „კომუნისტი" №№ 51, 52, 56, 59.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიული ცხოვრება

სამტრედია

ოთხშაბათს, 28 თებერვალს მოხდა მტრედიის რაიონის მეოთხე პარტნფერენცია. პრეზიდიუმში აირჩიეს ხ. გ. ნაფეტვარიძე (თავმჯდ.), სპირ. კაჩეიშვილი, პ. შენგელია, ბიქტორ უბლაძე და ილ. სტურუა.

დღის წესრიგი: 1) მოხსენება მოენტზე; 2) რაიკომის მოხსენება; 3) ომკავშირის მუშაობის ანგარიში; 4) რჩევნები რაიკომის და სამაზრო კონფერენციის დელეგატებისა.

კონფერენციას დაესწრო 26 ამხანაგი გადამწყვეტი ხმით. აგრეთვე დასწრენ ცეკას წარმომადგენელი ამხ. . სტურუა, ქუთაისის სამაზრო კომიტეტის წევრები კორ. ქაცარავა და იშა გახოკია. მისასალმებელი სიტყვა თქვა ცეკას წევრმა ამხ. სტურუამ, რომელმაც უსურვა კონფერენციას ნაყოფიერი მუშაობა.

სამაზრო კომიტეტის და სამაზრო ღმასკომის სახელით კონფერენციას მიესალმა ამხ. კ. ქაცარავა. საერთაშორისო მდგომარეობაზე მოხსენება გააკეთა ამხ. მიშა გახოკიამ, რომელმაც ვრცლად გააშუქა დასავლეთში ამ ჟამად შექმნილი მწვავე მდგომარეობა რურის ოკუპაციასთან დაკავშირებით; ის წინააღმდეგობანი, რომელნიც ღრღნიან თვით კაპიტალისტურ ქვეყნებს; შეეხო ყვითელი სოციალისტების გამცემლობას, პროლეტარიატის რევოლიუციონურ განწყობილებას, პროლეტარიატის, რომელიც თავს იყრის კომინტერნის გარშემო. იმედი გამოსთქვა, რომ მუშათა კლასი კომინტერნის ხელმძღვანელობით ბოლოს მოუღებს ერთი მუჭა მცარცველების თარეშს. ამხ. შეეხო აგრეთვე ახლო-აღმოსავლეთის საკითხებს, ლოზანის კონფერენციას და მის შედეგებს. ამხანაგი შეჩერდა აგრეთვე საბჭოთა რესპუბლიკების შინაურ და საგარეო მდგომარეობაზე, აღნიშნა საბჭოთა ხელისუფლების მოღვაწეობა, როგორც მეურნეობის აღდგენის, საერთაშორისო პოზიციის განმტკიცების საქმეში.

რაიკომის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. პორ. შენგელიამ, რომელმაც აღნიშნა ის რთული პირობები, რომელშიაც რაიკომს უხდებოდა მუშაობა. მიუხედავათ ამისა, ჩვენ შევძელით მრავალი კამპანიების ჩატარება სასურსათო გადასახადის, წითელი ფლოტის, რელიგიის და სხ., რამაც ღირსეული შედეგი გამოიღო. აგრეთვე წაიკითხა ცხრილი თუ რა და როგორი შინაარსის ქაღალდები შემოდიოდა რაიკომში, რომლებზედაც ჩვენ პასუხს ვაძლევდით. იყო შეკითხვები, რომელზედაც პასუხი გასცა ამხ. ილ. სტურუამ. მიიღეს რეზოლიუცია, რომლითაც რაიკომის მუშაობას ცნობენ დამაკმაყოფილებლათ.

ამის შემდეგ იქნა მოსმენილი მოხსენება ახ. კომ. კავშირის მუშაობის შესახებ. რადგანაც აშკარათ სჩანს ამ ახალგაზრდათა ორგანიზაციის წინსვლა და წარმატება, რომელიც ფართეთ იკრებს თავის გარშემო ახალგაზრდა მუშებს და გლეხებს. მცირე შეკითხვების შემდეგ მოხსენება მიღებულ იქნა ცნობათ.

ამის შემდეგ მოხდა ახალი რაიკომის არჩევნები. რომელშიდაც შევიდნენ: ილ. სტურუა, პ. შენგელია, სპ. კიკაჩეიშვილი, გარსევან ჯანჯალია, სოლ. ესაკია, ბიქტორ შუბლაძე, ბიქ. შანიძე, გერმ. ნაფეტვარიძე, ვასილი წულეისკირი.

ბოლოს აირჩიეს სამაზრო კონფერენციის დელეგატები—17 კაცი, რის შემდეგ კონფერენცია დაიხურა ინტერნაციონალის სიმღერით.

ხან—კანი.

ეკონომიური ცხოვრება

ბირჟის საფონდო განყოფილებასთან არსებულ კურსის დამწესებელი კომისიის კურსი.

6 მარტი.

10 მან. ოქრო—5,400 ათ. გირ. სტირლინგი—3,525, დოლარი—750, ოსმალური ქაღ. ლირა—568, საბჭოთა ფულის ნიშნები—17.

საქონლის განყოფილების მიწოდება

გამხმარი ხილი სპარსული. ყუბანის ფქვილი 5 პროც. 1-ლ ხარისხის გადუღებული ერბო. სახვევი ქაღალდი. შაქარი რაფინადი. ზაქათალის თხილი. ფხვნილი შაქარი.

საქონლის განყოფილების მოთხოვნილება.

ყუბანის ფქვილი 1-ლ ხარისხის. ფხვნილი შაქარი. ლურსმები. ფანჯრების მინები. ლობიო.

ბირჟის საქონლის განყოფილებაში

16 მარტს მოხდა მორიგება რუსულ ფხვნილ შაქარზე. ფასი 3,225,000 მ.

თბილისის ბაზარზე

16 მარტი

ფასი ხორბალზე და პურის პროდუქტებზე უცვლელია. რაფინადზე და ფხვნილ შაქარზე მიწოდება მტკიცეა, მოთხოვნილება ნაკლებია.

ტფილისის ბაზრის ფასები.

ბაზარზე შემდეგი ფასებია: ყუბანის ხორბალი—410, ადგილობრივი—350-370, ქერი—220-240, სიმინდი—200, აკულ. ბრინჯი—2400, აგდაშის ბრინჯი—1200—1400 ფ.

ყუბანის ფქვილი 1 ხარ.—950-1000, ადგილობრივი ფქვილი „რაზმოლი"—480 500.

შაქარი რაფინადი უცხოეთის—5900, ფხვნილი შაქარი—3400, გადადუღებული ერბო 1 ხარ.—7500, კარაქი—12,000.

საბჭოთა საქართველოს მონაწილეობა უცხოეთის ბაზარზე.

მიღებულია დადგენილება რათა მიღებული იქნეს მონაწილეობა ბრიუსელის ბაზრობაზე 9—25 აპრილს, ესტონეთის 9—11 ივნისს, ფინეთის ბაზრობა-გამოფენაზე გელსინგფორსში 1—5 ივნისს, რიგის 22 ივნ-სიდან 5 აგვისტომდე და კენიგსბერგის საგაზაფხულო ბაზრობაზე.

„ჩემო"-ში

საზოგადოება „ჩემოს" წევრთა რიცხვში ხელახლად შესვლის შესახებ განცხადება შეიტანა ბელგიელ ვანდერტა ლენის მსხვილ ფირმამ და მადატოვის ადგილობრივმა ფირმამ.

თამბაქოს ტრესტი 1923 წელში.

თამბაქოს ტრესტი, რომელიც შესდგა 1921 წლის ოქტომბერში, აერთიანებს 7 თამბაქოს და 1 კოლოფის ფაბრიკას.

აღნიშნულ ფაბრიკების წლიური წარმოება 1922 წ. გამოიხატა შემდეგ რიცხვებ ი: თამბაქო—910 093 გირვანქა, პაპიროსი—441.650 ცალი.

ფაბრიკებს შორის პირველი ადგილი წარმოების მხრით უჭირავს ყოფ. ბოზარჯიანცის, შემდეგ მიდის ენფიაჯიანცის ფაბრიკა.

საერთოთ უნდა ითქვას, რომ სახელმწიფო ფაბრიკების ნაყოფიერება ყოველთვიურათ საგრძნობლათ იზრდება. ასე, 1922 წ. დეკემბრის ნაყოფიერება სდგას იმავე წლის იანვრის ნაყოფიერებასთან შედარებით 512 პროცენტით უფრო მაღლა. წლიური ნაყოფიერება 1922 წელში 76,8 პროცენტით მეტია ვიდრე 1921 წელში. ამასთანავე საგრძნობლათ გაუმჯობესდა შრომის ინტენსივობა, სახელდობრ 1922 წ. გაიზარდა 26,7 პრ. 1921 წლ. წინაამდეგ. ტრესტის ნაწარმოებნი საღდება როგორც შინაურ ისე გარეშე ბაზარზე. 1922 წელში შინაურ ბაზარზე გასაღებულია 901.606 გირ. თამბ. და 374.320.755 ცალი პაპიროსი. გარეშე ბაზარზე—57.170 გირ. თამბაქო და 50.875.000 ცალი პაპიროსი, სულ კი 958.776 გირ. თამბაქო და 425.195,755 ცალი პაპიროსი. უმთავრესი მყიდველებია კერძო პირები, შემდეგ საქართველოს დაწესებულებები. ფაბრიკატების მარაგი 1923 წელს 1 იანვრისათვის უდრის შემდეგს: პაპიროსი 40 მილ. 835.370 ცალი· და თამბაქო 97.462 გირვანქა.

ბაქოს მომავალ ბაზრობის გამო.

დაწესებულია ზოგიერთი შეღავათები იმ ტვირთების გადასაზიდ ტარიფზე, რომელიც იგზავნება ბაქოს მომავალ ბაზრობაზე.

შეღავათები გავრცელდება როგორც იმ ტვირთებზე, რომელიც იგზავნება ბაზრობაზე 1 აპრილიდან 20 ივნისამდე, აგრეთვე იმ გაუყიდავ საქონელზედაც, რომელიც იგზავნება ბაზრობიდან 20 მაისიდან 5 ივნისამდე,მიუხიდავად იმისა, თუ სად იგზავნება საქონელი ბაზრობის კომიტეტის მოწმობის მიხედვით.

მომავალი გამოფენები უცხოეთში

ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის საინფორმაციო განყოფილების ცნობით 23 წლის განმავლობაში უცხოეთში გაიმართება შემდეგი სამეურნეო გამოფენები: ნიმუშების საერთაშორისო გამოფენა გელსინგფორსში 1—6 ივნისს.

საერთაშორისო საავიაციო გამოფენა განსბურგში (შვეციაში) 20 ივნისიდან 12 აგვისტომდე, რიგის სამრეწველო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა 22 ივნისიდან 5 აგვისტომდე, კანადის ნაციონალური გამოფენა ტორენტოში 25 აგვისტოდან 8 სექტემბრამდე, ნიმუშების გამოფენა ტრიესტში (იტალია), გაზების აპარატების საერთაშორისო გამოფენა ამსტერდამში 13 ოქტომბრიდან 11 ნოემბრამდე და გამოფენა რიო-დე-ჟანეიროში ივლისში.

ბაჟების შემცირება მატყლზე.

რუსეთში მატყლის სიმცირის და მისი უცხოეთში შესყიდვის აუცილებლობის გამო, აღძრულია საკითხი იმის შესახებ, რათა ბაჟები მატყლზე შემცირდეს ფუთზე 4 მანეთიდან 1 მანეთამდე ოქროთი.

ქრონიკა

საქ. სახალხო კომისართა საბჭოში.

— **გურიის ნავთი.** საქართველოს სახ. კომისართა საბჭომ მოისმინა რა სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მოხსენება ინგლისის ფირმასთან საკონცესიო ხელშეკრულების დადების შესახებ გურიის ნავთის მრეწველობის საექსპლოატაციო, აუცილებელ საჭიროებად სცნო ამ ხელშეკრულების განხორციელება.

— **აგარაკები.** სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა სია იმ აგარაკების, რომელთაც აქვთ სახელმწიფო ხასიათის მნიშვნელობა, ასეთ აგარაკებად ითვლება: 1) ბორჯომი, 2) წყალტუბო, 3) ახტალა, 4) აბასთუმანი, 5) წაღვერი, 6) ცემი, 7) ბაკურიანი, 8) სუმბათოვო. 9) მანგლისი, 10) ბახმარო, 11) ქობულეთი, 12) ციხისძირი და ბათომის ზღვის სანატორიუმები.

ქალაქის აღმასკომში

— **„მატორის" ჩამორთმევა.** ქალაქის აღმასკომის კომ. მეურნეობის განყოფილების დადგენილებით მოქ. ციღინს ჩამოერთვა 10 ცხენის ძალიანი მატორი, რომელიც ეკუთვნოდა აგრონომიულ სექციას და უკანასკნელს ჰქონდა მითვისებული,

განათლების კომისარიატში·

— **სექტორის გადაკეთება.** პროფ. განათლების მთავარ-მართველობის გამგეობასთან არსებული მუშათა ფაკულტეტების სექტორი, თანახმად სახალხო განათ. კომისარიატის დადგენილებისა, გადაკეთდა მარტის პირველიდან: „მუშათა და გლეხთა შორის პროფ. ტეხნიკურ განათლების სექტორად", რომლის გამგეთ დაინიშნა ამხ. ბირიუკოვი. ამიერიდან ყველა დაწესებულება, რომელიც ექვემდებარება ხსენებულ სექტორს—ვალდებულია მიმართოს ზემოაღნიშნულ გამგეს ყოველგვარი საქმეებისათვის.

ა. კ. შრომის სახ. კომისარიატში

ბორჯომი:

— **უმუშევართა რაოდენობა,** იანვარში ჩარიცხული იქნა 35 უმუშევარი, თებერვალში 40. სამუშაოზე გაიგზავნა—8 გამოუცხადებლობის გამო მოხსნილია 2. 1 მარტისათვის აღრიცხვაზე დარჩა 65 უმუშევარი.

— **კონფლიქტები.** იანვრის განმავლობაში შემოვიდა 15 კონფლიქტი, 15-ტივე პროცესშია.

— **შრომის დაცვა.** შრომის დაცვის მიზნით სისტემატიურათ ხდება სხვა და სხვა ქარხნებისა დაწესებულებების დათვალიერება განყოფილებების შრომის დაცვის ინსპექტორისაგან.

ფოთი.

— **უმუშევრები.** თებერვლის განმავლობაში აღრიცხული იქნენ 1224 უმუშევარი კაცი და 186 ქალი. სამუშაო მეცა 26 კაცს და 4 ქალს.

ხენაკი

— **უმუშევართა აღრიცხვა.** თებერვლის თვეში აღრიცხულია 10 კაცი და ქალი. აქედან სამუშაო მიეცა 10 უმუშევარს.

— **შრომის დაცვის კანონების დარღვევისათვის.** ამავე ხნის განმავლობაში შრომის კანონების დარღვევისათვის დაჯარიმებული იქნა 2 კერძო მწარმოებელი· ჯარიმა გადაეცა დამზღვევ კასას.

დამზღვევ კასაში.

— **უბედური შემთხვევა.** 1923 წ. იანვრის განმავლობაში ტფილისის დამზღვევ კასის წევრთა შორის უბედური შემთხვევა მოხდა 14-ჯერ, რომელთა შორის უმრავლესობა მელითონეებია.

— **სიკვდილის შემთხვევები.** იანვრის განმავლობაში გარდაიცვალა 21 წევრი, 16 კაცი და 5 ქალი, რის გამო დახმარება გასცა დამზღვევმა კასამ 40,920,000 მან. უმთავრესად სიკვდილიანობა გამოწვეულია ჭლექით. კასის ოჯახის წევრებს სიკვდილის შემთხვევა იყო ამავე ხნის განმავლობაში 91, გაიცა დახმარება მათ დასასაფლავებლად 118,300.000 მან.

— **დახმარება.** იანვრის განმავლობაში კასის წევრების ცოლების მშობიარობის გამო დახმარება მიეცა 225,320,000მან. და ბავშვების საზრდოთ 187,804,000 მან.

— **ავადმყოფ წევრთა რიცხვი.** იანვრის განმავლობაში ავათ იყო 883, მათ შორის მამაკაცი 557, ქალი—216.

— **პენსიის დარიგება.** იანვრის განმავლობაში დავრდომილთ მიეცა პენსია 185,259,000 მან. ქვრივ-ობლებისათვის გაიცა—59,365,000 მან, შრომის ბირჟას გადაეცა უმუშევართათვის—62.000,000 მილ.

პროფკავშირებში.

— **კურსების გახსნა.** კომუნალურ მეურნეობის კავშირმა წყალსადენის სახელოსნოსთან გახსნა კურსები. კურსების მიზანია მუშათა პროფესიონალური ცოდნის ამაღლება და მათი ტეხნიკური მუშაობის გაუმჯობესება.

— **წითელი ფლოტის სასარგებლოდ.** კომუნალურ კავშირის წევრებმა წითელი ფლოტის სასარგებლოდ გადასდეს ერთი დღის ხელფასი თავიანთ ჯამაგირებიდან.

ამიერ-კავკ. რკინის გზებზე.

— **მატარებლის განსაზღვრულ დროზე ადრე მისვლისათვის დასჯა.** მემანქანე პაპუაშვილი სამი თვით ჩამოაყენეს სამანევრო ორთქლმავალზე, რადგანაც იგი გელათ—ქუთაისის გადასარბენზე, რომელიც ციცაბო დაღმართს წარმოადგენს, 15 წუთით ადრე მივიდა სადგურზე. ამის გამო გამოქვეყნებულია ბრძანება, რომლის მიხედვით მემანქანეებს კატეგორიულად ეკრძალებათ ციცაბო დაღმართებზე მატარებელთა მსვლელობის განსაზღვრული სისწრაფის დარღვევა. დამნაშავეებს მოელის სასჯელი თვით სამსახურიდან დათხოვნამდე.

— **ა. კ. რკ. გზების—ფულის დასარიგებელ უბნებად დაყოფა.** გზათა უფროსის ბრძანებით გამოცხადებულია ა. კ. რკ. გზების ხაზის ფულების დასარიგებელ უბნებად განაწილების ნუსხა. ამ ნუსხით ბათომიდან თბილისამდე უბანთა რიცხვი უდრის 6, მთელ ხაზზე შტოებით კი—15.

კრებები და მოხსენებები

— **განათლების მუშათა სახლში** ორშაბათს 19 მარტს, 7 ს. ფიზიკურ-მათემატიკის ქ | ს. 1) კალიშევსკის მოხსენება—მტკივნეულ საკითხის—თვალსაჩინოების უქონლობის-გადაჭრის ერთ-ერთ შესაძლებლობათაგანი, 2) ტიუმენევის მოხსენება—ახალი ლიტერატურის შესახებ, ორშაბათს 19 მარტს, სალ. 7 ს. ქართულ ენის ქ | ს. დონდუას მოხსენება — დაწყებითი გეოგრაფიის შესახებ. სამშაბათს 20 მარტს, სომხურ ენის ქ | ს. ღისიციანის მოხსენება—სომხური ენა და წერა. სამშაბათს 20 მარტს, ბავშთა თვითმოქმედების ქ | ს. კარპინსკაიას მოხსენება—საბავშო კლუბების შესახებ.

სხვა და სხვა.

— **პარიზის კომუნის დღესასწაული** დღეს, მარტის 17-ს არმიელების ცენტრალურ კლუბში გაიმართება საღამო. წარმოდგენა პარიზის კომუნარების ხსოვნის აღსანიშნავად. წაკითხული იქნება მოხსენებები რუსულსა და ქართულ ენებზე. დაიდგმება რევოლიუციონური პიესები პარიზის კომუნარების სახსოვრად და სხ.

ხელოვნება

— **თამარ წერეთლის კონცერტი.** თამარ წერეთლის კონცერტი შესდგება 20 მარტს 1-ლ სახ. კონსერვატორიაში,

— **პიანინოზე დამკვრელის ნ. გრიქუროვის საღამო.** სახ. 1-ლ კონსერვატორიაში გაიმართება ახლო ხანში პიანინოზე დამკვრელის ნ. გრიქუროვის საღამო.

— **ს. აბაშელის ლექსების მეორე ტომი.** რედაქციამ მიიღო პოეტ ს. აბაშელის ლექსების მეორე ტომი „ანთებული ხეივანი". წიგნი დაბეჭდილია საუკეთესო ქაღალდზე და ღირს 5 შაური ოქროთი.

— **ქართული გრამატიკა ფრანგულ ენაზე.** ტფილისის ფრანგულ ლიცეის მასწავლებელმა მოქ. ლიუზენმა დაამთავრა ოცი წლის ნაშრომი „ქართული გრამატიკა ფრანგულათ". წიგნი შეიცავს 2000 გვერდს.

— **სახალხო სახლის იუბილე.** განზრახულია ახლო ხანში იდღესასწაულონ სახალხო სახლის დაარსების დღიდან 30 წლის შესრულების დღე.

— **საოპერო თეატრის მსახიობების ბენეფისები.** სახელმწიფო ოპერის დირექციამ ბენეფისები მისცა შემდეგ მსახიობებს: მარტში გაიმართება ბენეფისები—ალეშკოს, პეტლიაშის, ისეცკის, კავსაძის და ინაშვილის. აპრილში—ბრონის და ვ. ფალიაშვილის. მაისის პირველ რიცხვებში შესდგება ვ. სარაჯიშვილის ბენეფისი.

— **მარჯანიშვილის დადგმები.** რეჟისორი კ. მარჯანიშვილი რუსთაველის თეატრში წარმოსადგენათ ამზადებს გერმანელ მწერლის ვერფელის ახალ პიესას „სარკის ადამიანი".

— **ლუნაჩარსკის ახალი პიესა.** ლუნაჩარსკიმ დასწერა ახალი პიესა „განთავისუფლებული დონკიხოტი". პიესა განზრახულია დაიდგას ახლო ხანში მოსკოვის აკადემიურ დრამის თეატრში.

— **რეჟის. ვ. მჭედლიშვილი.** მოსკოვის სამხატვრო თეატრის მეორე სტუდიის რეჟისორი და ხელმძღვანელი ვახტანგ მჭედლიშვილი მიწვეულია მოსკოვის აკადემიურ მცირე თეატრის რეჟისორათ.

— **რუსთაველის თეატრი.** დღეს, რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება მ. ქორელის რეჟისორობით „ორი ჯიბგირი".

მიწის რეფორმა შორაპნის მაზრაში

(მოკლე მოხსენება ამ მაზრაში მიწის რეფორმის გამტარებელ კომისიისა)

შორაპნის მაზრაში მიწის რეფორმის გამტარებ ლი კომისია, რომელშიაც შედიოდენ ამხ. ი. მორჩილაძე, ა. ყორანაშვილი და პ. მეგრელიშვილი, გაემგზავრა თბილისიდგან შორაპნის მაზრაში 10 თებერვალს.

11 თებერვალს კომისია, ჭიათურაში, ადგილობრივ ხელისუფლებასთან მოლაპარაკების შემდეგ, შეუდგა მუშაობას იმ დღესვე 11 საათზე.

შორაპნის მაზრა იყოფა ხუთ რაიონათ: საჩხერის, ჭიათურის, ზესტაფონის, ჩხარის და ხარაგოულის რომლებიც შეადგენენ 36 თემს. თითო თემი გაჭიმულია 15—20 ვერსზე, რაც ძლიერ უშლიდა ხელს კომისიის მუშაობას. პირველად კომისია წავიდა საჩხერის რაიონში, სადაც მოკალათებულიყო მთელი ყოფილი თავადები და აზნაურები. დაამთავრა რა მუშაობა ამ რაიონში, კომისია გაიყო ორად და შეუდგა მუშაობას სხვა რაიონებში. ყველა რაიონებში დამთავრებულ იქნა მუშაობა 11 მარტს ე. ი. მუშაობა გაგრძელდა მთელი თვე.

დაახლოებითი შედეგები მუშაობისა.

ჩამორთმეულია სულ 10,000 ქცევამდე მიწა, ორმოცდა ათი სახლი და ოცდა ათი წისქვილი. სწორი სტატისტიკური ცნობები იკრიბება სამაზრო მიწად-მოქმედების განყოფილების მიერ და ერთი კვირის ვადაში წარმოდგენილი იქნება.

ჩამორთმეულია აგრეთვე 6 როიალი. სახლებიდან მეპატრონეებს რჩებოდათ მხოლოთ აუცილებელი საჭირო საგნები, დანარჩენი კი გადადიოდა თემის განკარგულებაში. სახლები და წისქვილები გადაეცა ადგილობრივ თემის აღმასკომს, რომლებშიდაც მოათავსეს სკოლები, საავათმყოფოები და ზოგ სახლებში კი ჩასახლებულ იქნა გლეხობა.

მთელი ეს მიწები და სახლები ჩამოერთვა ყოფილ თავადებს აზნაურშვილებს შემდეგ გვარისას: წერეთლებს, აბდუშელაშვილებს, აბაშიძეებს, ამაშუკელებს, ხიდირბეგიშვილებს, ბაგრატიონს, გომართლებს, გოდაბრელიძეებს, ჩხეიძეებს, მაჭავარიანებს, ლოლაძეებს, ყლენტებს და სხვებს.

გლეხობის სულიერი განწყობილება.

როგორ ეგებებოდენ გლეხები ამ რეფორმის გატარებას? ისინი ხშირად ამბობდენ — გლეხ-კაცისათვის ეხლა გათენდა, ეხლა ამონათა მზემო, აწი ყოფილი მაწანწალები ველარ იბატონებენ ჩვენზე და თუ არ იმუშავებენ იმ მიწას, რომელიც მათ ეტოვებათ დაიხოცებიან შიმშილითო. აღსანიშნავია აქვე, რომ თავადების ნაწილს შეუგნია, რომ უშრომლათ ცხოვრება არ შეიძლება, დაუნებებიათ თავი მამინო მწევრებისათვის და სოფლის მუშასთან ერთად ეწევიან სოფლის მეურნეობას.

ტიპები.

უმეტესობა კი ისევ უსაქმოთ დაყიალობს. ბევრ მათგანს შერჩენია თავადური რიხი. ჩვენ მათ შეძლებისდაგვარათ ვასახლებდით რამოდენიმე ოჯახს ერთად.

ჩვენ აქ არ შევეხებით კერძო რაიონებში მუშაობას, და აი იქ ყოფილ მემამულეების მოქცევას, რადგან ამის შესახებ უკვე იყო მოთავსებული წერილები გაზეთებში. მინდა მხოლოდ აღვნიშნო აქ სამი პიროვნების საქციელი რევოლიუციამდის. ამათი გლეხებისადმი მოქცევა არ არის რასაკვირველია იმის მაჩვენებელი, რომ მხოლოდ ეს სამი წურბელა იყო შორაპნის მაზრაში. არა, ისინი ყველანი აგრე იქცეოდენ. მაგრამ ყველა ჩვენ რომ ავწეროთ არ არის საჭირო, რადგანაც ყველამ კარგად იცის მათი ისტორია. ესენი არიან **გიორგი აბაშიძე, დავით ყლენტი და სვიმონ წერეთელი.**

გიორგი აბაშიძე სცხოვრობს ამაშუკეთის თემში, სოფელ უბისაში. ის სხვათა შორის სოფლის მიწის კომისიაშიც მომხვდარიყო, როდესაც ჩვენ მივედით თემში, ის წარმოდგა ყველაზე წინ და მეუბნება რუსულ ენაზე:

მაქვს პატივი გაგეცნოთ-ადგილობრივი მიწის კომისიის წევრი გიორგი აბაშიძე. შევეკითხე თემის მიწის კომიტეტს—თუ ვინ აირჩია კომისიაში თქო—მან არ დააცალა პასუხს და ამბობს, **меня избрало население и никто кроме него не имеет права отстранить меня**". აქვე ღარიბი გლეხები იყვნენ და იძახდენ ჩვენ არ აგვირჩევია-ო. რასაკვირველია ის გადაყენებულ იქნა—შემდეგ შევეკითხე, თუ რამდენი მიწა აქვს მას.

მიპასუხა 9 ქცევაო. ჩვენ მას დაუტოვეთ 9 ქცევა მიწა, რადგანაც მისი სიტყვით მეტი არ ქონდა. მეორე დღეს, როდესაც მას მიუზომეს მიწა დარჩა 20 ქცევაზე მეტი ცხრა ქცევას გარდა

გლეხები ამბობენ—რევოლიუციამდე მას ძლიერ უყვარდა ხალხის ტანჯვაო, ვისაც დაავალებდა უსათუოდ უნდა მოეტანა ცხრა ტკაველიანი ლორი, თუ რომ დაკლდებოდა ცხრა ტკაველს ნახევარი ვერშოკიც, იმ შემთხვევაში არ ღებულობდა და როზგს სცემდაო. ან და ერთხელ გლეხებს მისთვის სიმინდი უნდა მიეცათ 30 ფუთამდე. გასცა განკარგულება, რომ ყველა სიმინდის მარცვლები ერთი ფერის უნდა ყოფილიყო, თუ რომ ერთი მარცვალიც გაერეოდა სხვა ფერის არ მივიღებო. მართლაც მოიტანეს გლეხებმა სიმინდი და დაუწყო გადასინჯვა. (სხვა საქმე რა ჰქონდა) და რამდენიმე მარცვალი გამოდგა სხვა ფერის. უბრძანა მათი გაროზგვა და სიმინდიც უკან დაუბრუნა, გაჯავრებულმა რომ მისი ასეთი სულელური ბრძანება არ იქნა სისრულეში სისწორით მოყვანილი. გაატანა სიმინდი და მერე კი რამდენიმე ვერსზე დააწია კაცი და მოაბრუნებია, რადგანაც თავისი ჟინი მოიკლა.

მეორე დავით ყლენტი:—სცხოვრობს ქვა-ციხის თემში. ეს ძველი ფეოდალია. მას ყოლოდა ერთი საიდგანაც საგანგებოთ მიყვანილი ცხვარი და ყველასგან თხოულობდა რომ მისთვის მიეყვანათ სწორეთ ტანითაც და წონითაც იმოდელა ცხვარი, თორემ წინაამდეგ შემთხვევაში ააფორიაქიალებდა მათ ოჯახებს. გლეხები თვეობით ეძებდნენ მისთვის ისეთ ცხვარს და მოგვრიდენ ხოლმე. ერთხელ გლეხს დაუჭირა ხარები და სთხოვა გამოსასყიდი ფული. გლეხმა ვერ შესძლო იმ თანხის მიცემა, რასაც ყლენტი თხოულობდა. დააბა ხარები და არ გაუშვა სანამ არ დაიხოცნენ.

სვიმონ წერეთლის სასახლე არის წირქვალის თემში. თვითონ კი თბილისში ცხოვრობს. ეზო რამოდენიმე ქცევაა, როდესაც ძღვენს მოუტანდნენ ორი-სამი დღე ჭიშკრებთან იყვნენ გაჩერებული. სანამ ის არ მოისურვებდა, რომ მიეღო ისინი. მთელი ტყეები მის განკარგულებაში იყო და ჯერ მოურიგდებოდა გლეხებს, მისცემდა ტყეს და საბალახოს შემდეგ, როდესაც მუშაობას დაიწყებდნენ დაუკეტავდა გზებს და ზედ მეტ ფულებს სთხოვდა—გლეხებიც იძულებული იყო აესრულებიათ მისი ბრძანება.

მრავალ ასეთ საზიზღრობას სჩადიოდენ გლეხების სიტყვით ეს ვაებატონები, მაგრამ სანიმუშოთ ესეც კმარა. მართლაც რომ დიდის მომთმენია გლეხობა.

ჩვენ მათ რასაკვირველია მოვეპყრობით ისე, როგორც დაიმსახურეს.

ეხლა კი ამ რეფორმის გატარებამ ძირიან-ფესვიანათ აღმოფხვრა მათი ბატონობა და თავის სასახლეებიც ჩამორთმეულ იქნა.

მენშევიკების პროვოკაცია

ამ რეფორმის გატარებით საბჭოთა ხელისუფლებამ მთელი ღარიბი და საშუალო გლეხობა მაზრაში თავისკენ გადაიყვანა. პროვოკაციი მენშევიკების და სხვების მათში ვერ გაჭრის. აღსანიშნავია ის მოვლენა-, რომ მენშევიკების აგენტები დაწრწიან სოფლად და ეუბნება გლეხებს, არ მისცეთ ცნობები თუ რამდენი მიწები გაქვთ იმიტომ რომ ბოლშევიკები ბაჟს ადებენ მიწებსო.

ღარიბ გლეხების სიას კი იმიტომ ვარდგენდით, რომ გვცოდნოდა, თუ ვისთვის უნდა მიგვეცა ჩამორთმეული მიწები. ჩვენი ახსნა განმარტების შემდეგ გლეხობა გაიძახოდა არ დაუჯეროთ არავის, ჩვენ ვინც მოგვაშორებს ამ მემამულეებს და მიწას მოგვცემს, მთელი ჩვენი ძალით მათ დავეხმარებით. მენშევიკებიც ყვიროდენ მოგცემთო მაგრამ მათი დაპირება დაპირებათ დარჩაო.

რა ხრიკებს მიმართავენ მემამულეები.

აგრეთვე სრულად საიდუმლოთ იყიდებოდა დღემდის მიწები. ჩვენ სადაც კი აღმოაჩინეთ ასეთები ვარღვევდით ხელშეკრულებას დ თუ მიწა ქონდა ნაყიდი ღარიბ გლეხებს მას უტოვებდით მიწასაც და მიცემული ფულსაც უბრუნებდით. გამყიდველებზე კი ვადგენდით ოქმებს და უტოვებდით აღმასკომს სასამართლოზე გადასაცემათ.

ჩამოერთვა აგრეთვე მამულები და წისქვილები ჭრუჭის და გუმეკის მონასტრებს. რაც იყო გალავანს გარეთ გადავიდა თემის განკარგულებაში გასულ წელს მემამულეებს აუღიათ ღალა იმ დროს, როდესაც ისინი დათხოვნილი იყვნენ! სადაც აღმოვაჩინეთ ასეთები ვართმევდით და ურიგებდით ღარიბ გლეხობას. ერთ დილიკოურის თემში ჩამორთმეულ იქნა 1000 ფუთზე მეტი სიმინდი.

უნდა აღვნიშნო აქვე იმ ორგანოს საყურადღებოთ [illegible] რომელიც [illegible] თხოვნებს, მემამულეები ხმარობენ ყოველივე საშვალებას, რათა მოატყუონ კომისია. მე მოვიყვან აქ ორ მაგალითს. რომელიც ნათელყოფს მათ ხრიკებს.

ერთი აბაშიძე (სახელი დამავიწყდა) ჩამოვიდა თხოვნით ქ. ზესტაფონში ძველის-ძველი დაგლეჯილი ჩოხით. ქალამნებში მოიტანა თხოვნაც რომ მას ასე ღარიბს და გაჭირვებულს ჩამოართვეს მიწები და სახლები. ჩვენ დავაკვირდით მას, და ემჩნეოდა, რომ ეს კაცი რაღაც ვერ გრძნობს თავის თავს თავისუფლად არ უნდა იყვეს მიჩვეული ასეთ ტანისამოსს. მართლაც გამოირკვა რომ ის არის ყოფილი თავადი და არასდროს ქალამნები არ უტარებია. მხოლოდ იმ დღისთვის საგანგებოთ ჩაუცვია მოჯამაგირის ტანისამოსი.

მეორე მაგალითი: ვაჭარმა მაცაბერიძემ, რომელსაც ჩამოერთვა სოფლად ყველა მიწები, როგორც არა მიწის მუშას, მოიყვანა ვიღაც ქვრივი ქალი და ამბობს.—სასოფლო კომისიამ თქვენ ალბად შეცდომაში შეგიყვანათ—ის მამული, რომელიც თქვენ ჩამოგირთმევიათ ეკუთვნის ამ ქვრივს და მის ობლებს. ·ეს ქვრივი ჩემი რძალი არის—ჩვენ მართლაც პირველ წამებში უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდით, როდესაც შევხედეთ ქვრივს დაავადმყოფებულს და მის ობლებს. ვერ წარმოგვედგინა თუ ასეთ ადამიანს ჩვენ მიწები ჩამოვართვით ან და როგორ მოგვცა სასოფლო კომისიამ ასეთი ცნობები. დაკითხვის შემდეგ სულ წინააღმდეგი გამოირკვა. იმ ქვრივისთვის ჩვენ დაგვიტოვებია ნორმაზე მეტიც მიწა და სრულებითაც არ შევხებივართ მის სახლ-კარს. დიდი ხნის გამოყოფილიც არის მასგან და აი ეხლა, როდესაც იმ ვაჭარს ართმევენ მიწებს, მოისურვა ეს მიწები გადაეცა ძმისწულებისათვის „საჩუქრად".

ასეთ შემთხვევებთან აქვს საქმე კომისიებს როგორც ვიცით მთელი მასალები აღწერილობით თუ რომელს სოფელში რამდენი ქცევა მიწა ჩამოერთვა, რამდენი სახლი და სხვა. წარმოდგენილი იქნება მოკლე ხნის ვადაში სამაზრო მიწად-მოქმედების განყოფილების მიერ.

ჩვენი მიზანი მიღწეულია.

უმთავრესი მიზანი კი მიღწეულია: **ყოფილ თავად-აზნაურებს და მემამულეებს დღეს შორაპნის მაზრაში არ აქვთ მიწა ნორმაზე მეტი.** ისინი აღარ ცხოვრობენ ფუფუნებით 10—15 ოთახში თითო ოჯახი. მოჯამაგირები თვითონ მირბოდენ მათგან და ზოგს კი თვით უშვებდენ, რადგანაც არაფრით შეუძლია მისი რჩენა. იძულებული იქნებიან თვით იმუშაონ, თვით აკეთონ ყოველივე ოჯახში. თუ ზოგიერთ გლეხების თვალში მათ კიდევ ქონდათ დღემდის რაიმე პატივცემა ესეც დაკარგეს.

ოქტომბრის რევოლიუციის სხივებმა დღეს მთელი თავისი სიძლიერით ჩაანათა შორაპნის მაზრის სოფლებში, გლეხები მან გაათბო და მემამულეებს ლახვარი ჩასცა გულში სასიკვდილოდ.

პ. მეგრელიშვილი.

1922—23 წ. შემოდგომის ხორბლეულის თესვის კამპანია და ნათესების მდგომარეობა

(სტატისტიკურ ცენტრალ სამმართველოს ცნობების მიხედვით)

ახალქალაქის მაზრა. შემოდგომის ხორბლეულობის თესვა თითქმის მთელ მაზრაში დაიწყო და დამთავრდა თავის დროზე, გარდა კულიკამის, არაგვის და სარაჩლოს თემების. საერთოდ თესვა სწარმოებდა სექტემბერში დ ოქტომბერში, ხსენებულ თემებში კი 1-ლ ნოემბერში, მიზეზად ასახელებენ გვალვებს და ზოგან საქონლის ნაკლებობას. თესვის დროს ამინდი იყო ხელშემწყობი, ზოგან საშუალო, გვალვების გამო.

მცხოვრებთა 50 პროცენტს ხორბლეული დაუთესია საკუთარი თესლით, 40 პროცენტი თესლი შეუძენია მთავრობისგან, დანარჩენი 10 პროცენტი თესლი უშოვიათ კერძო პირებისგან.

თესლი პურის და ჭვავის ყოფილა საშუალო ხარისხის, ჭვავი მეტად ხარჯიანი, ქერის თესლი ყოფილა კარგი ხარისხის. ნათესების სივრცე შედარებით 1922 წ. სივრცესთან დარჩა უცვლელად, ჭვავი თუმც დაითესა მეტი, მაგრამ ჭვავის სივრცე საერთოდ უმნიშვნელოა. როგორც კორესპონდენტები იტყობინებიან შემოდგომის ნახნავი ყოფილა მეტი, მაგრამ უთესლობისა გამო ნაწილი მოხნული და დასათესად გამზადებული მიწებისა დარჩენილა დაუთესავი.

ჯეჯილი მთელ მაზრაში ამოსულა: პურის მე-13 დღეს, ქერის მე-12 დღეს. ჯეჯილი, როგორც პურის, ისე ჭვავის ყოფილა თანაბარი, იანვრისათვის ნათესები ყოფილან კარგ მდგომარეობაში.

ბორჩალოს მაზრა. თესვა დაიწყო და დამთავრდა თავის დროზე, დაგვიანებულა მხოლოდ სარვენის თემში უთესლობისა გამო. ნათესობის სივრცე (კორესპონდენტთა ცნობების მიხედვით) შემოდგ. პურის გადიდებულა 10 პროცენტით, ქერის და ჭვავის დარჩენილა უცვლელად. შემცირების შესახებ ცნობა არის დარბაზის თემიდან, სადაც საქონლის სიმცირის გამო შემოდგ. ნათესების სივრცე შემცირებულა 5 პროცენტით. საერთოდ მთელი მოხნული სივრცე წელს დათესილია. თესლი პურისა ყოფილა საშუალოზე კარგი, ქერის—საშუალოზე კარგი, ჭვავის—საშუალოზე მდარე. სარევლის მიხედვით, თესლი ყოფილა ხარჯიანი.

მცხოვრებთა 60 პროცენტმა მინდვრები დათესა, საკუთარი თესლით 10 პროცენტმა მთავრობისგან შეძენილით, ხოლო დანარჩენმა 30 პროც. თესლი შეიძინა კერძოთ.

თესვის დროს ამინდი იყო ხელშემწყობი, ზოგან საშუალო ჯეჯილი ამოვიდა, პურის მე-12 დღეს, ქერის მე-10 დღეს, ჯეჯილი როგორც პურის, ისე ქერის იყო თანაბარი. მხოლოდ დარბაზის თემში გაჩენილი მინდვრის თაგვის გამო ნათესი ვერ ყოფილა თანაბარი. საერთოდ ნათესები დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში ყოფილან ამოსვლის დროს. თებერვლის გასულისთვის, მოსულ ცნობების მიხედვით, მაზრაში უთოვლობისა გამო გაჩენილა მინდვრის თაგვი, რომელსაც ნათესები დაუზიანებია. მარტის პირველისთვის ნათესები პურის ყოფილა საშუალო, ქერის საშუალო მდგომარეობაში.

თბილისის მაზრა. თესვას მცხოვრებნი შეუდგნენ თავის დროზე, უმთავრესად თესვა სწარმოებდა ოქტომბერში. თესვა შეგვიანდა აბზულაღის და მარტყოფის თემებში, სადაც მცხოვრებთ დააკლდათ სათესლე მასალა. მაზრაში დაითესა უმთავრესად შემოდგ. პური და ქერი, ჭვავის ნათესი არ იყო. ნაწილი მოხნული მიწების დარჩა დაუთესავი უსაქონლობის გამო. იყო შემთხვევები თესლის ნაკლებობისა, საერთოდ სივრცე შემოდგომის ხორბლეულობის ნათესებისა ოდნავ გადიდდა. თესლის ხარისხი, როგორც პურის, ისე ქერის იყო საშუალო. მცხოვრებთა 30 პრ. ხორბლეული დასთესა თავის საკუთარი თესლით, 40 პროც. თესლი შეიძინა მთავრობისგან, დანარჩენმა იყიდეს ან ისესხეს კერძოდ. თესვის დროს ამინდი იყო კარგი, მხოლოდ ზოგიერთ თემებში თესვას ხელი შეუშალა გვალვამ.

ამოვიდა ჯეჯილი როგორც, ქერის ისე პურის მე-14 დღეს და თითქმის ყველგან იყო თანაბარი, იანვრისათვის ნათესები მაზრაში საშუალოზე კარგ მდგომარეობაში იყვნენ.

თელავის მაზრა. თესვა დაიწყო და დამთავრდა გვიან, ყველგან ნოემბერში და დეკემბერში, მიზეზი ყოფილა გვალვა, ნათესების სივრცე უცვლელი დარჩა, მცირეოდენი ნაწილი მოხნულ მიწებისა დარჩა დაუთესავი, რასაც კორესპოდენტები მიაწერენ უმთავრესად საქონლის ნაკლებობას. ყოფილა შემთხვევები თესლის ნაკლებობისაც. დაუთესიათ უმთავრესად შემოდგომის პური და ქერი, ჭვავი არ ითესება. თესვის დროს ამინდი იყო საშუალო, თუმცა გვალვების გამო თითქმის ყველგან ხნულები გადამხმარა. თესლი მცხოვრებთა დიდ ნაწილს აუღია სესხად უფრო შეძლებულ მეზობლებისაგან, მცირე ნაწილისათვის დახმარება აღმოუჩენია მთავრობას სესხად მიწოდების სახით. ჯეჯილი პურის ამოსულა მე 14 დღეს, ქერის მე 11 დღეს. პურის ყოფილა თანაბარი, ქერის კი არა. მაზრაში შემჩნეული იყო უთოვლობა, რამაც ადგილ-ადგილ თაგვის გაჩენა გამოიწვია, თაგვმა ზარალი მიაყენა უმთავრესად ქერის ნათესებს.

თებერვალში მოსული ცნობების მიხედვით ნათესები არიან საშუალო მდგომარეობაში, თოვლი არ მოსულა, გაჩენილია მინდვრის თაგვი.

სიღნაღის მაზრა. შემოდგომის ხორბლეული დაითესა ყველგან თავის დროზე, ითესებოდა უმთავრესად 9—10 თვეებში, სივრცე ნათესებისა გადიდდა, მცირეოდენი ნაწილი მოხნული მიწები დარჩის დაუთესავი. მიზეზად კორესპონდენტების მიერ დასახელებული არის უთესლობა, უსაქონლობა და გვალვა. საკუთარი თესლით უზრუნველყოფილნი ყოფილან მცხოვრებთა 51 პროც., 45 პროც. თესლი უყიდია ან სესხად აუღია მეზობლისაგან, 4 პროც. კი თესლი მიუღია მთავრობისაგან, თესლის ხარისხი ყოფილა პურის კარგი, მხოლოდ ხარჯიანი, ქერის საშუალო, ნაკლებად ხარჯიანი თესვის დროს, ამინდი ყოფილა ხელ შემწყობი, საშუალო და ზოგან არა ხელშემწყობი.

თითქმის ყველა თემებიდან იწერებიან გვალვის შესახებ, რომელსაც ძალიან ხელი შეუშლია თესვის კამპანიის მსვლელობისათვის. ახალშენის თემიდან არის ცნობა ყინვის შესახებაც. ჯეჯილი პურის ამოსულა მე 13 დღეს, ქერი' მე-14 დღეს. ჯეჯილი არ ყოფილა თანაბარი, რასაც მცხოვრებნი მიაწერენ უთოვლობას და გაჩენილ მინდვრის თაგვს, თებერვლისათვის შემოდგომის ნათესები ყოფილან საშუალო მდგომარეობაში. თებერვლის მეორე ნახევარში ნათესებს მაზრაში საშუალო პირი უჩნდათ.

ხენაკის მაზრაში შემოდგომის ხორბლეული ითესება ძალიან მცირე, წელს ეს მცირე სივრცე კიდევ შემცირებულა კორესპონდენტები ასახელებენ შემდეგ მიზეზებს: სიმინდის კარგი მოსავლის გამო, შემოდგ. ხორბლეულს ცუდი მოსავლის გამო, შემოდგომის ხორბლეულის ცუდი მოსავლის გამო, უთესლობის და უამინდობის გამო. როგორც ეტყობა ხორბლეულის მოსავალი სიმინდთან შედარებით მოსულა ნაკლები და მცხოვრებთ გული აუცრუვებიათ შემოდგ. ხორბლეულის თესვაზე.

საერთოდ ხორბლეული დათესილა თავის დროზე, თესლის ხარისხი ყოფილა საშუალო, თესვის დროს ამინდი ყოფილა საშუალო, ჯეჯილი ამოსულა მე-16 დღეს, თებერვლისათვის ჯეჯილს უჩნდა საშუალო პირი.

ლეჩხუმის მაზრა. მაზრაში თესვა სწარმოებდა მე-9 და მე-10 თვეებში, ექვსი თემიდან მოვიდა ცნობა თესვის დაგვიანების შესახებ, აქ თესვა დამთავრებულა ქრისტეშობის თვეში, მიზეზათ კორესპონდენტები ასახელებენ ცუდ ამინდს, წვიმებს და ზოგან ყინვას. შემჩნეული იყო მაზრაში თესლის ნაკლებობა, რის გამოც ნაწილი მოხნული და დასათესად გამზადებული მიწებისა დარჩა დაუთესავი, მცხოვრებთა ნაწილი ჩივის თესვის პერიოდში მოსულ ხშირ წვიმებზე, რის გამოც თესვის კამპანიის მსვლელობა საგრძნობლად ფერხდებოდა. შემოდგ. პურის თესლი მცხოვრებლებს ჰქონიათ საშუალო, ქერის ცუდი. მცხოვრებთა დიდ ნაწილს თესლი შეუძენია კერძოთ მეზობლებისაგან, ნაწილს დახმარებია მთავრობა.

ჯეჯილი პურის ამოსულა მე-15 დღეს, ქერის მე-16. ჯეჯილი ვერ ყოფილა თანაბარი, მიზეზი წვიმა, სიცივე და ყინვა.

შორაპნის მაზრა. შემოდგომის ხორბლეულობის თესვა დაიწყო და დამთავრდა თავის დროზე, დაითესა პური და ქერი; ჭვავი არ ითესება. სივრცე ნათესობის ქვეშ დარჩა უცვლელად. (შედარებით 1922 წლ. სივრცესთან) მოხნული მიწების ნაწილი კორესპონდენტთა სიტყვით დარჩა დაუთესავი. მიზეზი—შემოდგომის ხორბლეულის თესლის ნაკლებობა. თავის საკუთარი თესლით უზრუნველ ყოფილა მცხოვრებთა მხოლოდ 30 პროც., 50 პროცენტი თესლი შეუძენია კერძოდ, მეზობლებისგან ხოლო დანარჩენ 20 პროც., თესლი მიუღია მთავრობისგან. თესვის დროს მაზრაში ამინდი ყოფილა საშუალო, ორი თემი ჩივის წვიმაზე. თესლი ყოფილა საშუალო, ჯეჯილი პურის ამოსულა მე-10 დღეს, ქერის მე-8 დღეს ყოფილა თანაბარი. იანვრისთვის ნათესები ყოფილან საშუალო მდგომარეობაში.

გორის მაზრიდან მოსული ცნობების მიხედვით, შემოდგომის ნათესებს, თებერვლის და მარტისთვის უჩნდათ საშუალოზე კარგი პირი, ამინდი ყოფილა თბილი და ხელ-შემწყობი, უთოვლობის გამო გაჩენილა მინდვრის თაგვი.

ლ. მახაბელი.

პროვინციაში

ლეჩხუმის მაზრა

19 თებერვალს აგიტ-პროპმა სხდომაზე აირჩია საქართველოს გასაბჭოების ორი წლის თავის საზეიმო დღესასწაულის მომწყობი სამაზრო კომისია—შემდგარი ამხ. ამხ. გრიგოლ სვანიძის, სერგო საყვარელიძის და თედორე დოლბაიას შემადგენლობით. კომისია შეუდგა მზადებას აღნიშნულ დღისათვის მაზრის ფარგლებში.

25 თებერვალს ქ. ცაგერში, ლენინის სახელობის თეატრში—დანიშნულ, საქართველოს გასაბჭოების ორი წლის თავზე, სადღესასწაულო შესახვედრ საზეიმო მიტინგისაკენ მიეშურებიან თითქმის მთელი ქ. ცაგერის მცხოვრებნი. ჩნდებიან ცაგერის საბჭოთა დაწესებულებების მუშა-მოსამსახურენი, რომელნიც მწყობრათ დარაზმულნი დროშებით თანდათანობით უახლოვდებიან თეატრს.

საზეიმოთ გამზადებულნი მოექანებიან თეატრისაკენ ქ. ცაგერში მდგომი სამხედრო ნაწილი რევოლიუციონურ სიმღერით და ყიჟინით. მათი ხმები იპყრობს საზეიმოთ გამზადებულ ხალხის ყურადღებას, ყველანი მომავალ წითელ ჯარის ნაწილებისაკენ გაიყურებიან, თეატრიდან მოზეიმენი მათ ტაშის ცემით შეეგებნენ. მიტინგი არ იხსნება. კიდევ ელოდებიან მოზეიმეთ. გამოჩნდენ კიდეც. ეს არის ადგილობრივი ცაგერის კომორგანი-

მუშათა ცხოვრება

ამხ. მუშა-კორესპონდენტებს.

კვირას, 18 მარტს, საღამოს 6 საათზე ჩვენი რედაქციის შენობაში (კრუზენშტერნის ქუჩა, № 4)

დანიშნულია

გაზეთ „კომუნისტი“-ს თანამშრომელ მუშა-კორესპონდენტების

მორიგი კრება.

ყველა მუშა-კორესპონდენტებისთვის სავალდებულოა აღნიშნულ კრებაზე დასწრება, დანიშნულ დროზე დაუგვიანებლად. სასურველია აგრეთვე თანამგრძნობ მუშების დასწრება.

სასურსათო თევზეულობის მაღაზია

ეს მაღაზია მდებარეობს პუშკინის ქუჩაზე და წარმოადგენს სასურსათო სახ. კომისარიატის თევზეულობის მთავარ საწყობს. მუშაობს 14 კაცი, რომელთაგან 8 კაცი პროფ-კავშირის წევრად ითვლება, დანარჩენი ექვსი, მათგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ჯერ-ჯერობით კავშირის წევრად არ ირიცხებიან, თუმც შესაფერი ზომები მიღებულია ყველა მათგანის კავშირში ჩასარიცხად. საწყობში მუშებს უხდებათ მუშაობა ძალიან მძიმე პირობებში. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ის ანტი-სანიტარული და ანტიჰიგიენური მდგომარეობა, რომლის თავიდან აცილება საწყობისათვის თითქმის მოუხერხებელია. საწყობში მუდამ სულის შემხუთველი თევზის სუნი დგას, რომლის გაქარვებაც არ ხერხდება, თუმც დარაბა და კარები ყოველთვის ფართოდ გაღებულია. ეს არის იმის მიზეზი, რომ საწყობში ძვლების გამყინავი სიცივეა. თუ მხედველობაში მივიღებდი მასაც, რომ იატაკი ცემენტისაა, ადვილი წარმოსადგენია საწყობ მომუშავეთა უკიდურესი გაჭირვება მუშაობის დროს. ცეცხლის გაჩაღება საწყობის გასათბობად არ შეიძლება, რადგან სითბო, თუნდ ზომიერიც თევზს გააფუჭებს. ამ რიგად, ცემენტის ცივ იატაკზე სხეულის გამყინავ სიცივეში და გამაბრუებელ მყრალ ჰაერში უხდებათ მუშაობა—ფიზიკურად მომუშავეთ. მუშების უმრავლესობის მოვალეობას შეადგენს სადგურიდან თევზის წამოღება,—გადმოტვირთვა, საწყობში დალაგება, დამარილება და ყუთებში ჩაწყობა. ამის გამო აქ მუდამ ჟამს შეუსვენებელი მუშაობა სწარმოებს. თუმცა, სამუშაო დრო 8 საათი, არის განსაზღვრული, მაგრამ წარმოების განსაკუთრებულ პირობები მუშებს ნებას არ აძლევს ეს წესდება ყოველთვის მტკიცედ დაიცვან. და მათ თითქმის ყოველდღე უხდებათ ზედმეტ საათის მუშაობა. ხელფასს მუშები იღებენ მცირეს და შრომის ენერგიას—კი ხარჯავენ დაუზოგავად. ჩვენის აზრით აუცილებელი საჭიროა მათ მიეცეთ უფრო მეტი გასამრჯელო, ვინაიდან შრომის პირობების გაუმჯობესება აქ თითქმის შეუძლებელია.

კორ.-ინფ.—უცხო.

ჯანმრთელობის კომისარიატში

მიმდინარე წლის 1 მარტს შესდგა ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის და ყველა მისი განყოფილებების მუშა-მოსამსახურეთა მრავალ რიცხოვანი საზოგადო კრება. დღის წესრიგში იდგა მოხსენება ექიმ ზუნტურიდისა სანიტარულ განათლების და მისი მნიშვნელობის შესახებ.

მომხსენებელი ზუნტურიდი აღნიშნავს, რომ მედიცინა იყოფა ორად: სამკურნალო მედიცინად და გამაფრთხილებელი მედიცინად. ამ უკანასკნელ მედიცინის დარგს ეკუთვნის სანიტარული განათლებაც, რომლის მიზანია შეაიარაღოს ადამიანი სანიტარულ-ჰიგიენიური ცოდნით იმდენად, რომ ადამიანმა თვით შესძლოს თავისი ჯანმრთელობისთვის მოვლა-პატრონობა...

რევოლიუციამდე ექიმობა თითქმის მიუწდომელი იყო მუშათა კლასისთვის, მით სარგებლობდნენ მხოლოდ მდიდრები.

რევოლიუციის შემდეგ ეს მდგომარეობა ძირიან-ფესვიანად შეიცვალა. ექიმობა შეიქნა—სახალხო. მიღებულია ყოველივე ზომები, რომ ფართო მშრომელთა მასსამ სავსებით ისარგებლოს ყველა მედიკურ საშვალებებით სრულებით უსასყიდლოდ. სანიტარულ განათლების გავრცელებაც უპირველესი ადგილი დაეთმო ეხლანდელ მედიცინაში. ამ მიზნისთვის დაარსებულია განსაკუთრებული ორგანო სანიტარულ განათლების საბჭოს სახელწოდებით, ეს ორგანო თავის მიზნად ისახავს გადაიტანოს ფართე მშრომელთა მასაში ყველა ის მედიცინის უკანასკნელი მიღწევანი, რომლის საშუალებით მუშათა კლასს შეუძლია შეინარჩუნოს ადამიანისთვის ყველაზე უფრო დიდი სიმდიდრე—თავისი ჯანმრთელობა.

თავის მოხსენება ექიმ ზუნტურიდიმ დაამთავრა შემდეგი მოწოდებით: „ისწავლეთ სენთან ბრძოლა და თქვენ გაიმარჯვებთ ეკონომიურ ფრონტზეცო“.

ინფ—კორ.—ა. ნ.

ამიერ-კავკასიის რკ. გზ. დამზღვევ კასის მუშაობა.

(ერთი წლის ანგარიშიდან).

1922 წლის განმავლობაში დამზღვევ კასის მუშაობა, როგორც მის ანგარიშებიდან სჩანს, ნორმალურად მიმდინარეობდა. მთელი მისი აპარატი გამართულად მუშაობდა, მიუხედავად ბინის სივიწროვისა და მინიმალური შტატისა. ა. კ. რკ. გზებზე სოცდაზღვევის საქმის დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა დადასტურებულ იქნა რკინის გზელთა კავშირის მე-3 სადელეგატო ყრილობაზე.

ა. კ. რკ. გზ. დამზღვევ კასის მუშაობის ნათლად გასათვალისწინებლად მოგვყავს ზოგიერთი ცნობები:

გაცემულია დახმარება: ა) დასამარხი 707 სულზე 1.308, ბ) სამშობიარო 1233 სულზე 2.336, გ) საკვები 1119 სულზე 1.614, სულ 3059 სულზე 5.258.

აღმოეჩინა სამედიცინო დახმარება: ა) მოსიარულე ავათმყოფთ, 129.604 კაცს, ბ) ამბულატორიას ეწვია 349.283 კაცს, გ) მწოლიარე ავათმყოფთ 8.379 კაცს, დ) მათ შორის გადამდებ სნეულით 1.941.

1923 წლის პირველ იანვარს დამზღვევ კასის სოცუზრუნველყოფაზე ირიცხებოდენ: ა) ინვალიდები 1216 კაცი, ბ) ქვრივ-მოურნენი 520 კაცი, გ) მარტოხელი ქვრივები 203 კაცი, დ) ტრანსპორტელთა მშობლები 57 კაცი, ე) ობლები 1692 კაცი, ვ) უპირისუფლო ობლები 125 კაცი, სულ 3.813 სული, რომელთაც მიეცათ სათანადო პენსია.

ინფორ.-კორ.—კანი

პერსონალური ჯამაგირები რკ. გზ. მუშაკებისთვის.

კვალიფიციურ და ადმინისტრატიულ-ტეხნიკურ დარგის რკ. გზის მუშაკებს ეძლევათ პერსონალური ჯამაგირები, რომელიც შეიცავს ძირითად ჯამაგირების დამატებას.

ამის შესახებ გამოქვეყნებული ბრძანების მიხედვით პერსონალური დამატებანი ეძლევა მე-14 ხარისხიდან შემდეგი ვარაუდით:

14^2 ხარის.	არა უმეტეს პირველი	4 ხარ.
14^1 „	„ „ „ „	6 „
15^2 „	„ „ „ „	8 „
15^1 „	„ „ „ „	10 „
16^2 „	„ „ „ „	12 „
16^1 „	„ „ „ „	13 „
17 „	„ „ „ „	14 „

მოიჯარადრენი და მუშათა დაზღვევა.

გამოქვეყნებულ ბრძანების მიხედვით, წინადადება ეძლევა ყველა სამსახურების, განყოფილებათა, ნაწილების და უბანთა უფროსებს, რომელნიც უფლებამოსილნი არიან შეეკრან სხვა და სხვა გვარი პირობით მოიჯარადრეებს სამუშაოთა გაცემის შესახებ, რომ კონტრ-აგენტებთან დადებულ ხელშეკრულებაში შეტანილ იქნეს, თანახმად არსებულ კანონდებულებათა, მუხლი სამუშაო ქირიდან დამზღვევი კასის ფონდში დასაზღვევი თანხის გადარიცხვის შესახებ.

ინფ.-კორ.-რკინისგზელი.

პროფკავშირებში.

არჩევნები სატარიფო კამერაში.

სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ა. კ. ბიუროს სხდომაზე 28 თებ. სატარიფო კამერაში ა. კ. შრომის სახ. კომისარიატთან დაინიშნენ: ამხ. ასლანოვი—ა. კ. რკინის გზიდან. ამხ. იზმაილოვი—სრპკს ა. კ. ბიუროდან. ამხ. ჯულელი—საქართ. პროფკავ. საბჭოდან. ამხ. ავაკია—სომხ. პროფკავ. საბჭოდან. ამხ. ივანოვი—აზერბეიჯანის პროფკავ. საბჭოდან. ამ დღეებში მოხდება სატარიფო კამერის კონსტრუქცია.

რურის მუშებს.

სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტ. საბჭოს ა. კ. ბიუროს დადგენილებით, რურის მუშების სასარგებლოდ გადადებული იქნა 3,000 მან. ოქროთი, რომელიც პროფინტერნს გადაეგზავნა.

ა. კ. რკ. გზელთა პროფკავშირში.

ამა წლის 1—10 მარტამდი ა. კ. რკ. გზელთა პროფკავშირში მოხდა პრეზიდიუმის მთელი რიგი სხდომებისა, რომლებზედაც განხილულ იქნა ყველა განყოფილებათა საკითხები.

პრეზიდიუმმა მოისმინა მოხსენებები ზოგიერთ საუბნო პროფკავშირებიდან, გაარჩია კავშირიდან გამორიცხულთა სიები რომელიც დამტკიცების შემდეგ გამოქვეყნდება. ამასთანავე ერთად ა. კ. რკ. გზელთა პროფკავშირმა შეასწორა და დაამტკიცა თეზისები განყოფილებათა შემდგომი პრაქტიკული მუშაობის გასათვალისწინებლად, რაც პრეზიდიუმს საშუალებას მისცემს თითოეული მათგანის მუშაობის სწორ აღრიცხვისას.

ინფ.—რკ.—კანი.

ზაციის წევრები. და გამოჩნდენ კიდევ ცაგერის სასწავლებლის ახალგაზდა მოსწავლეები ორთავე სქესისა თავიანთ მასწავლებლებით. ყველანი შედიან თეატრის დარბაზში. თეატრი მორთულ-მოკაზმულია მწვანე ფოთლებით, რევოლიუციის გმირების, ჩვენი ბელადების სურათებით და წითელი დროშებით, ყველა დროშებზე დღის შესაფერისი წარწერებია. თეატრის დარბაზი გაჭედილია ხალხით. ტევა არ არის. სცენაც სავსეა. დარბაზში უადგილობის გამო მოზეიმეები თეატრის აივანზე არიან გაჩერებულნი, რომ იქიდან მოისმინონ დღის შესაფერისი სიტყვები. ლაპარაკობენ, მსჯელობენ, ერთი მეორეს ესაუბრებიან საქართველოს მუშების და გლეხების განთავისუფლების 25 თებერვლის დღის მნიშვნელობაზე.

გაისმის ზარის წკარუნი. მას მოყვა ძახილი დარბაზიდან „სიჩუმე, ამხანაგებო, დაწყნარდით, შესწყვიტეთ ბაასი“. გამეფდა სიჩუმე. გამოდის სცენაზე კომისიის თავმჯდომარე ამხ. **გრიგოლ ხვანიძე** და ორი წლის საქართველოს გასაბჭოების სადღესასწაულო საზეიმო მიტინგს გახსნილად აცხადებს, დაახლოებით დღის ორ საათზე, საერთო ტაში და ძახილი ხალხისა „გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობას“. ამ დროს გაისმის პროლეტარული ჰიმნის, „ინტერნაციონალის“ სიმღერა. ყველანი ქუდებს იხდიან და ფეხზე დგებიან, სულ განაბულნი უსმენენ. ამის შემდეგ სცენაზე ჩნდებიან გაბრწყინებული სახეებით სამაზრო პარტკომის მდივანი ამხ. **გრიგოლ ჭაბუკიანი**, ახალგაზრდათა კომკავშირის წარმომადგენელი ამხ. **ხვიჩია**, სამაზრო ალმასკომის წარმომადგენელი ამხ. **ხუბუკელაშვილი**, დღესასწაულის მომწყობ კომისიის მდივანი მუშა **სერგო საყვარელიძე** და სხვა პასუხისმგებელი პარტ. მუშაკნი. სიტყვებს ამბობენ სამაზრო პარტკომის პასუხისმგებელი მდივანი ამხ. გრიგოლ ჭაბუკიანი სამაზრო პარტკომის სახელით, ახალგაზრდათა კომკავშირის სახელით, ახალგაზრდათა კომკავშირის აგიტპრობის გამგე ამხ. ხვიჩია, სამაზრო პროფკავშირების სახელით ამხ. სერგო საყვარელიძე, ალმასკომის სახელით ამხ. ეფრემ ხუბუკელაშვილი.

ორატორები ახასიათებენ დღესასწაულის მნიშვნელობას, საბჭოთა ხელისუფლების ნაყოფიერ მუშაობას, მენშევიკების გამცემლობას და სხ. ხალხი ორატორებს ტაშით აჯილდოვებს. დარბაზში გაისმის ხალხის ხმა: „ზიზღი მენშევიკებს, შორს მათი ბინძური ხელები, გაუმარჯოს საქართველოს საბჭოთა მთავრობას, გაუმარჯოს საბჭოთა ფედერაციას, გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას“.

მიტინგი იხურება ინტერნაციონალის სიმღერით.

ნაშუადღევის 5 საათზე საზეიმო პროცესია დროშებით, რევოლიუციონურ სიმღერებით გაეშურა სამაზრო პარტკომისაკენ. პროცესია ჩერდება ლენინის მოედანზე ცოტა ხნით, სადაც მიესალმა სამხედრო კომისარმა ამხ. გრიგოლ **ბააზია**, ცაგერში მყოფ წითელ ჯარის ნაწილებს. ამას მოჰყვა შეუჩერებელი „ვაშას“ ძახილი არმიელების მიერ და ტაშის ცემა მოზეიმეთა მხრივ. პროცესია დაიძრა, ჩერდება პარტკომთან. მოზეიმეთა სახელით ესალმება სამაზრო პარტიულ კომიტეტს ამხ. ს. საყვარელიძე რომელსაც მოყვა საერთო ტაში და ინტერნაციონალის სიმღერა. პარტკომის სახელით სიტყვას ამბობს აგიტ-პროპის გამგე ამხ. გრიგოლ სვანიძე, რომელიც ულოცავს მოზღვავებულ ხალხს მუშების და გლეხების ბრწყინვალე გამარჯვებას ყველა თავის მტრებზე. საერთო ტაში, ისმის ინტერნაციონალის სიმღერა. შემდეგ პროცესია გაეშურა სამაზრო ალმასკომისაკენ. პროცესია თანდათანობით იზრდება, მას კიდევ უერთდება ადგილობრივი მცხოვრებნი. მიტინგის სახელით ალმასკომს მიესალმა სამაზრო პარტკომის მდივანი ამხ. გრიგოლ ჭაბუკიანი. ალმასკომის სახელით ხალხს მოკლეთ ესაუბრა სამაზრო ალმასკომის მდივანი ამხ. შალიკო წერეთელი, რომელიც ათავებს შემდეგი სიტყვებით: „ჩვენ ფიცსა ვსდებთ. რომ მტკიცეთ დავიცავთ ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვართ და შევასრულებთ მშრომელთა ყველა დავალებებს“.

შემდეგ მიტინგი ცხადდება დახურულად 6 საათზე.

მუშა იან.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 82

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

საშუალო და დაბალი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლების დებულების შემოღების შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

I. შემოღებულ იქნეს მთელ საქართველოს მიწა-წყალზე შემდეგი დებულება საქართველოს სოც. საბჭ რესპუბლიკის საშუალო და დაბალი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლების შესახებ.

1. სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელთა ქსელს, ესე იგი ამ სასწავლებელთა დაარსებას, შენახვას და გაუქმებას, აგრეთვე მოსწავლეთა რიცხვს განსაზღვრავს მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატი, ხოლო დამტკიცებს განათლების სახალხო კომისარიატი.

2. სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელთა პედაგოგიური პერსონალის შენახვა სწარმოებს განათლების სახალხო კომისარიატის აღრიცხვით.

3. ტეხნიკური პერსონალის შენახვა და სასოფლო მეურნეობის სპეციალურ საგნებში პრაქტიკული მეცადინეობისათვის დამატებითი ხარჯის გაღება სწარმოებს მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის აღრიცხვით.

4. სამეურნეო საოპერაციო ხარჯების გასტუმრება მოხდება მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის აღრიცხვით.

5. საერთო სამეცნიერო-საპედაგოგიო ხელმძღვანელობას, სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლების დანიშვნას და გადაყვან-გადმოყვანას აწარმოებს, მიწათ-მოქმედების კომისარიატთან შეთანხმებით, განათლების სახალხო კომისარიატის პროფესიონალური განათლების მთავარი სამმართველო.

6. სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელთა გამგებს ასახელებს მიწათ მოქმედების სახალხო კომისარიატი. ხოლო ამტკიცებს განათლების სახალხო კომისარიატი. სასწავლო ნაწილში გამგენი ემორჩილებიან განათლების სახალხო კომისარიატს, ხოლო სამეურნეო ნაწილში—მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატს.

7. მოწყობა პრაქტიკული მეცადინეობისა მოკლე ვადიანი სპეციალური კურსების, ლექციებისა და სკოლის გარეშე მთელი მუშაობის სასოფლო-სამეურნეო ცოდნის გასავრცელებლად რჩება მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატის გამგებლობაში და სწარმოებს მისი აღრიცხვით, განათლების სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

8. ამა დებულების განსამარტებლად განათლების სახალხო კომისარიატს ევალება, მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, გამოსცეს ინსტრუქცია სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელთა სახელმძღვანელოდ.

II. გაუქმებულ იქნეს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის მიერ 1921 წლის ივნის ს 28 თარიღით და 46 ნომრით გამოცემული დეკრეტის ის ნაწილი, რომელიც ამ დადგენილებას არ ეთანხმება.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
შ. ელიავა.
სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი
ალ. სალარიძე.

1923 წ. მარტის 10.
ტფილისი—სასახლე.

დადგენილება № 83.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

ვინაობის წიგნაკების შემოღების შესახებ.

1. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მოქალაქეთა და აგრეთვე საქართველოში მცხოვრებ სხვა საბჭოთა რესპუბლიკების მოქალაქეთა პიროვნების შესამოწმებლად შემოღებულ იქნეს ვინაობის წიგნაკები ამა დადგენილებასთან ერთად დამტკიცებული ფორმისა.

2. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ყველა მოქალაქე მოვალეა თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დატოვების დროს თან იქონიოს ვინაობის წიგნაკი. ტფილისის, ქუთაისის, ფოთის და ბათომის მცხოვრებნი მოვალენი არიან წიგნაკები იქონიონ ამ ქალაქებში ყოფნის დროსაც.

3. მუდმივ საცხოვრებელ ადგილად ჩაითვლება მაზრა ან მაზრიდან გამოყოფილი ქალაქი (ტფილისი, ფოთი), რომელთანაც მოქალაქე დაკავშირებულია: ქონებით, ოჯახით, სამსახურით ან სასწავლებლით, ხელობით, ვაჭრობით და სხვ.

4. ვინაობის წიგნაკის მიღება შეიძლება მხოლოდ მუდმივ საცხოვრებელ ადგილას.

5. ვინაობის წიგნაკი მიეცემა ყველა სრულწლოვან მოქალაქეს; ერთ წიგნაკში შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ ქმარი, ცოლი და წიგნაკის პატრონის ოჯახის არა სრულწლოვანი წევრი.

6. უვადო წიგნაკი მიეცემა მხოლოდ იმას, ვინც თავისუფალია სამხედრო ბეგარით გაწვევისაგან, ან ვისაც ბეგარა მოხდილი აქვს; ხოლო ვადიანი წიგნაკი—ყველა დანარჩენს.

უკანასკნელ შემთხვევაში წიგნაკის ვადა არ უნდა გადასცილდეს იმ დროს რა დროსაც წიგნაკის პატრონი მოვალეა სამხედრო ბეგარის მოსახდენად გამოცხადდეს.

7. ვინაობის წიგნაკების დამზადება დაევალება შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს და მისი განკარგულებით და კონტროლით წიგნაკები უნდა დაეგზავნოთ სათანადო ორგანიზაციებს მთლად რესპუბლიკაში.

8. ვინაობის წიგნაკის გაცემის დროს მის მიმღებს უნდა გადახდეს წიგნაკის დამზადებისათვის გაწეული ხარჯი.

9. ამა დადგენილების განსავითარებლად და განსამარტებლად შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს ნება ეძლევა გამოსცეს სათანადო ინსტრუქციები.

10. ვინაობის წიგნაკების გაცემა დაწყებულ უნდა იქნეს არა უგვიანეს ორი თვისა ამ დადგენილების გამოქვეყნების დღიდან.

11. ვინაობის წიგნაკების გაცემის შემდეგ ძალას ჰკარგავს ყოველგვარი პასპორტი და პიროვნების დამამტკიცებელი სხვა საბუთი; ხოლო სამსახურის მოწმობა და მანდატი სახელმწიფო, საზოგადო და პარტიული ორგანიზაციების მოსამსახურეთა საცხოვრებელ საბუთად არ გამოდგება.

12. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
შ. ელიავა.
შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი
ბეჟეჭკორი.
სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი
ალ. სალარიძე.

1923 წ. მარტის 10.
ტფილისი—სასახლე.

დადგენილება № 84.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წელში შრომისა და შარაგზით ტვირთზიდვის ხარკის გატარების წესის შესახებ.

საქართველოს რევ. კომიტეტის მე-90 ჯერის დეკრეტის შესავსებლად სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. 1923 წლის პირველ იანვრიდან რესპუბლიკის ქალაქებში და სოფლად შრომისა და შარაგზით ტვირთზიდვის ხარკი აკრეფილ იქნეს ნხოლოდ ფულად.

2. ფულად შეცვლილი შრომისა და შარაგზით ტვირთზიდვის ხარკი შეეწერა ყველა შრომის უნარიან მამაკაცს 18—50 წლამდე და მუშა საქონლის (ხარისა, კამეჩისა, ცხენისა, ჯორისა და ვირის) მეპატრონეთ.

3. შრომისა და შარაგზით ტვირთზიდვის ხარკის ფულადი შენაცვლების რაოდენობა განისაზღვროს წელიწადში ექვსი სამუშაო დღის ღირებულებად.

შენიშვნა: სამუშაო დღის ღირებულებას დააწესებს ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისრის რწმუნებული საქართველოში.

4. განთავისუფლება შრომისა და შარაგზით ტვირთზიდვის ხარკისაგან მოხდება ამიერ-კავკასიის ფინანსთა და შრომის სახალხო კომისარიატების რწმუნებულთა (საქართველოში) დადგენილებით.

5. მუშა-ხელისა და შარაგზით ტვირთზიდვის საშუალებათა ნატურით სამუშაოზე გამოყვანა შეიძლება მარტოოდენ სტიქიური უბედურების სალიკვიდაციოდ (როგორც არის: ხანძარი, წყალდიდობა, თოვლის ზვავი და ნამქერი, სამხედრო მოქმედება და სხვა ამგვარი შემთხვევა). ეს მუშაობა სწარმოებს შრომისა და შარაგზით ტვირთზიდვის ბეგარის წესით, თვინიერ შრომისა და შარაგზით ტვირთზიდვის ხარკის ნორმისა, თანახმად შრომის კანონთა კოდექსის მე-11-ე მუხლისა.

6. შრომისა და შარაგზით ტვირთზიდვის ხარკის ფულად შეცვლის განხორციელება დაევალება ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საქართველოში და მის ადგილობრივ ორგანოებს, ხოლო შრომისა და შარაგზით ტვირთზიდვის ბეგარის გატარება, თანახმად ამა დადგენილების მე-5-ე მუხლისა, დაევალება ამიერ-კავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საქართველოში და მის ადგილობრივ ორგანოებს, სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტების მონაწილეობით.

7. ამა დადგენილების თანახმად შრომისა და შარაგზით ტვირთზიდვის ხარკის გატარების საქმე გამოეყოს ამიერ-კავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (საქართველოში) გამგებლობიდან და გადაეცეს ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საქართველოში.

8. ამიერ-კავკასიის ფინანსთა და შრომის სახალხო კომისარიატების რწმუნებულთ საქართველოში დაევალებათ გადასინჯონ ერთად მთლად კანონმდებლობა შრომისა და შარაგზით ტვირთზიდვის ხარკის შესახებ სათანადო ცვლილებების შესატანად ამა დადგენილების მიხედვით.

9. ამა დადგენილების განხორციელებისა ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საქართველოში უფლება ეძლევა გამოსცეს სათანადო დადგენილებანი, ცირკულიარები და ინსტრუქციები.

10. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
შ. ელიავა.
სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი
ალ. სალარიძე.

1923 წ. მარტის 10.
ტფილისი—სასახლე.

დადგენილება № 85

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

ყველა საპატიმრო ადგილის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის გამგებლობაში გადაცემის შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ყველა საპატიმრო ადგილი და მათი სამმართველო გამოყოფილ იქნეს იუსტიციის სახალხო კომისარიატის გამგებლობიდან და გადაეცეს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის გამგებლობას.

2. იუსტიციის სახალხო კომისარიატის ცენტრალური დასჯა-გასწორების განყოფილება და მისი ადგილობრივი ორგანოები გადაკეთდეს საპატიმრო ადგილების მთავარ და ადგილობრივ სამმართველოებად—შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან და მის ადგილობრივ ორგანოებთან.

3. იუსტიციის სახალხო კომისარიატის ორგანოებს დაეტოვებათ ყოველი უფლება ზედამხედველობის საპატიმრო ადგილებში პატიმართა დამწყვდევის მართლ-კანონიერების მეთვალყურეობისათვის—მთლად იმ ფარგალში, რაც გათვალისწინებულია სახალხო სასამართლოს და პროკურატურის დებულებებით.

4. დასჯის პოლიტიკის საერთო პრინციპიალური საკითხების შესამუშავებლად პენიტენციარულ ღონისძიებათა და დანაშაულობასთან ბრძოლის საშუალებათა განსახორციელებლად—შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საპატიმრო ადგილების მთავარ სამმართველოსთან მოეწყოს პენიტენციარული საბჭო,—იუსტიციის სახალხო კომისარიატისა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის წარმომადგენელთაგან შემდგარი.

შენიშვნა: პენიტენციარული საბჭოს სხდომებში, ამათ გარდა, სავალდებულოა საპროკურორო ზედამხედველობის პირის მონაწილეობა.

5. იუსტიციის სახალხო კომისარს,—შინაგან საქმეთა სახალხო კომისართან ერთად. დაევალება შეიმუშაოს დებულება შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საპატიმრო ადგილების მთავარი სამმართველოს და მისი ადგილობრივი ორგანოების შესახებ და შეიტანოს სათანადო ცვლილებანი საერთო საპატიმრო ადგილების დებულებაში.

6. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
შ. ელიავა.
სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი
ალ. სალარიძე.

1923 წ. მარტის 10.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

მარქსისტულ წრეების მეცადინეობა 1923 წ. 18 მარტიდან 24 მარტამდე.

— კვირა, 18 მარტს, 11 საათზე ამიერ-კავკასიის საგან. კომის. წრე. ხელმძღვანელი გალკინი.

— სამშაბათი, 20 მარტს და შაბათს 24 მარტს ტფილ. მაზრ. საგან. დანიშნულების ნაწილების წრე ტფილისის კომიტეტის შენობაში 5 საათიდან 7 საათამდე. ხელმძღვანელი გალკინი.

— ოთხშაბათი, 21 მარტს საღამოს 7 საათზე „სკოლის გარეშე მყოფთა სახლი“-ს წრე. ხელმძღვანელი პენაკოვი.

— ოთხშაბათს, 21 მარტს და შაბათს 24 მარტს 6 საათიდან 8 საათამდე მბეჭდავთა წრე. ხელმძღვანელი მედვედიევი.

— შაბათი 24 მარტს 6 საათზე საღამოს პარტიული ცენტრალური შკოლის შენობაში სტუდენტთა წრე. ხელმძღვანელი ნოვიკოვი.

ს. კ. პ. ტ. კ. საagitაციო-საპროპაგანდო განყოფილება.

— შაბათს, 17 მარტს საღამოს 6 საათზე ცენტრალურ პარტიულ სკოლის შენობაში შესდგება სტუდენტთა წრის კრება. ხელმძღვანელი ამხ. ნოვიკოვი.

— შაბათს, 17 მარტს, საღამოს 5 საათზე შესდგება ტფილისის კომიტეტის ბინაზე ტფილისის მაზრის საგანგებო დანიშნულების ნაწილის წრის კრება. ხელმძღვანელი გალკინი.

— შაბათს, 17 მარტს, საღამოს 6 საათზე მბეჭდავთა წრის კრება. ხელმძღვანელი ამხ. მედვედიევი.

— საქართველოს კომუნისტურ პარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე-2-რე რაიკომი წინადადებას აძლევს პარტიის ყველა წევრებს და კანდიდატებს, რომელთაც ჯერ კიდევ არ მიუღიათ ახალი პარტიული ბილეთები, გამოცხადდენ რაიკომში ცნობების მოსაწოდებლათ და პარტიულ ბილეთების მისაღებათ შემდეგ ვადებში: პარასკევს—16 მარტს, შაბათს—17 მარტს და კვირას—18 მარტს. დღის 12-დან—3 საათამდე და საღამოს 6-დან—9 საათამდე. გამოცხადება ევალებათ პარტიის ყველა წევრებს და კანდიდატებს, რომლებსაც სრულებით არ მიუღიათ პარტიული ბილეთები და აგრეთვე პარტიის იმ წევრთ, რომლებიც მიღებული აქვთ დროებითი საწევრო ბილეთები. ყველა ის წევრები, რომლებიც არ გამოცხადებიან ზემოხსენებულ ვადებში, იძულებული იქნებიან იზრუნონ პარტიულ ბილეთების მისაღებათ უმაღლეს პარტორგანიზაციების საშუალებით.

საორგანიზაციო განყოფილების გამგე
აკოპოვი.
საარიცხვო ნაწილის გამგე
კორეივო.

განცხადებები

16 მარტს, დილით ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

ნინო ილიას ასული

ბაქრაძისა

რასაც ულრმეს მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ მეუღლე თედო ბაქრაძე და დაობლებული შვილები ელენე ბერიშვილისა, მიტო და ვერა. პანაშვიდი 17 მარტს საღამოს 6 საათზე. გამოსვენება 18 მარტს, კვირას, დილის 10 საათზე, ბინიდან საუფლისწულო (უდელნაია) ქუჩ. № 8, ვერის ნიკოლოზის ეკლესიაში, დაკრძალვა იმავ დღეს ნიკოლოზის სასაფლაოზედ.

351—2—1

გულდათუთქულნი მშობლები მარიამ სოლომონის ასული და ბესარიონ მიხეილის ძე, დები ნინა და ეთერი ცაგურიები აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს უდროოვოთ გარდაცვალებას პირველთა ქალის და მეორეთა დის

თინათინის (ქუჩუჩია)

სოფ. გურძემი სენაკის მაზრა.

დამწუხრებული მეუღლე ოლია ივანეს ასული კალანდაძისა, შვილები ვალიკო და ოთარი, დედა ეკატერინე და მამა იაგორი, ძმები: დათიკო, სანდრო, და გერმან; დები: მარო, პაშა და თამარა, სიძე დიმიტრი ხუნდაძე, რძლები ვარვარა და ანიჩკა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს, რომ კვირას, 18 მარტს, 1923 წ. დილის ათ საათზე ვერაზე წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაზე იქნება ერთი წლის თავის წირვა და პანაშვიდი

კონსტანტინე იაგორის ძე

კალანდაძის

სულის მოსახსენებლათ.

348—1—1

დამწუხრებული ძმა დავით იაგორის ძე კალანდაძე და მეუღლე მისი ვარვარა გრიგორის ასული კალანდაძისა, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს, რომ კვირას, 18 მარტს, 1923 წ. დილის ათ საათზე ვერაზე წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაზე გადახდილ იქნება ერთი წლის თავის წირვა და პანაშვიდი

კონსტანტინე იაგორის ძე

კალანდაძის

სულის მოსახსენებლათ.

348—1—1

დღეს, 17 მარტს, დღის 4 საათზე, იქნება გადახდილი ორმოცი დღის წირვა-პანაშვიდი ნიკოლოზის სასაფლაოზე (ვერა) გარდაცვალებულის

კლემენტი სიმონის ძე

ნინუასი

რასაც აუწყებენ ნაცნობთ, მეგობართ და ნათესავებს დედა თებრონე, მეუღლე ნინა, დები ლიუბა მოსეშვილისა, აგრაფენა და მარო, ძმები აქსენტი, სერგო და ვლოდია და სიძე ვლადიმერ მოსეშვილი.

349—1—1

დოკტორი მედიცინისა ბერლინის უნივერსიტეტისა

ბ. მეგრაბიანცი

შინაგანი ავადმყ. ფილტვების—ჭლექი და გულის—სპეციალური წამლობა. მალარიისა შეზხაპუნება 914 რენტგენის სინათლის—ელექტრონის წამლობის კაბინეთი.

იღებს 9—12 საათ.—დღის და 5—7 ს. საღ.

ბებუთოვის ქუჩა № 28. (264—25—9)

ელექტრონის და სინათლის

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ.

საავადმყოფო სწარმოებს ექ. სვიმონ ყიფშიძის ხელმძღვანელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20. (233—25—12)

ალმასკომის გადასახადთა ბიურო

ამით აცხადებს, რომ სამშაბათს, 20 მარტს, შუადღის 12 საათზე,

დანიშნულია

ზეპირი

საჯარო ვაჭრობა

ქვემოთ-ჩამოთვლილ ქალაქის სასწორებზე:

1) თათრის მოედნის; 2) დესიმონოვის მოედნის; 3) მუხრანის ბაზრის; 4) ნუნუფაროვის ბაზრის.

ყოველივე პირობების გაგება შეიძლება გადასახადთა ბიუროს კანცელარიაში.

კრ. 255—5—3 გადასახადის ბიურო.

დაიკარგა შრომის ბირჟის საბჭოთა მოსამსახურეების სექციიდან მიღებული უმუშევრობის წიგნაკი 29 სექტემბრიდან 1922 წ. მარიამი ყარამანის ასულ შენგელიას სახელზე, ჩაითვალოს გაუქმებულად.

დაიკარგა აიკანუშ პეშტმალჯიანის სახელზე გაცემული პირადობის მოწმობა, ჩაითვალოს გაუქმებულად. 346—1—

დაიკარგა შრომის ბირჟის მიერ ნატალია პანიევას სახელზე გაცემული წიგნაკი № 556, ჩაითვალოს გაუქმებულად. 347—1—

დაიკარგა პეტროვსკის ქალაქის მილიციის მიერ ანტონინა დრიას ასულის ივაშჩენკოს სახელზე გაცემული ბუთები და პირადობის მოწმობა № 855, ჩაითვალოს გაუქმებულად. 327—2

დაიკარგა როვინსკის პოლიციის სამმართველოს მიერ ექტლია როგოვსკაიას სახელზე 1921 წ. გაცემ საპასპორტო წიგნაკი, ჩაითვალოს გაუქმებულად.

დაიკარგა სიღნაღის ეკლესიის მიერ სარქის ბაშინჯაგოვის ხელზე გაცემული მეტრიკული ამოწერილობა № 3 ჩაითვალოს გაუქმებულად. 329—1

დაიკარგა ს. მ. ბაჟბეუკ-მელიქოვას სახელზე გაცემული სახლის წიგნი სარპ-კარაპეტოვის ხრამი, მარაბელსკის შე ხვევი № 4, ჩაითვალოს გაუქმებულად.

დაიკარგა ქიზლიარის კომისარიატის მიერ ნალბანდოვის ხელზე გაცემული პასპორტი, ჩაითვალოს გაუ ბულად.

დაიკარგა ქეშიშოვის სახელზე გაცემული სახლის წიგნი რონცოვის ქუჩ. მე-2-ე ბეზიმიანის შესახვევი ჩაითვალოს გაუქმებულად.

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 2559 და რკინის გზის თეული ბილითი თელავში ჩასვლის და უკან ნების № 3,693,614. მთავარ სახელოსნოს მუშა გიორგი ტიგიშვილი. 345—1

ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამმართველო

ამით აცხადებს, რომ 20 მარტს დღის 12 საათზე ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამმართველოში (ვოკზალის ქუჩა № 1) დანიშნულია წერილობითი საჯარო ვაჭრობა 1923 წლის 1 აპრილიდან იჯარით გასაცემად:

1 კლასის ბუფეტების—შემდეგ სადგურებზე: ბათომი, სამტრედია, შორაპანი, ხაშური.

მე-3 კლასის ბუფეტების—შემდეგ სადგურებზე: ბათომი, ქობულეთი, სამტრედია, აბაშა, ტყვიბული, ხრესილი, ძირულა, ხეთა, ხაშური, ქარელი, ავჭალა (ბუფეტის კარავი), იორა, ვაზიანი, წნორის-წყალი, თელავი, კარდანახი და ბადიაური.

სავაჭრო კარვები სადგურებზე: სამტრედია №№ 1, 2 და 3, რიონი № 1, მუხიანი, ხრესილი, ძირულა, მარელისი, სურამი, ქარელი, სუმბატოვო, ტფილისი № 1, ნავთლუღი № 2, კახეთის რკინის გზის ნავთლუღი, ათაგლია, მუკუზანი, ციხის-ძირი.

საპირფარეშოები შემდეგ სადგურებზე: ნატანები, სუფსა, აბაშა, ახალ-სენაკი, საჩხერე, ბორჯომი. იმ პირთ, რომლებსაც სურთ მიიღონ მონაწილეობა საჯარო ვაჭრობაში, ევალებათ დაბეჭდილ კონვერტში ჩადებული თავისი განცხადებები საბჭოს დარბაზის კარებთან მოთავსებულ ყუთში ჩაუშვან ან ფოსტით დანიშნულ დრომდე გამოგზავნონ. როგორც პირადად მოტანილ, ისე ფოსტით გამოგზავნილ კონვერტებზე, უნდა იყოს წარწერა: „საჯარო ვაჭრობისათვის ბუფეტების, კარვების და საპირფარეშოების იჯარით გასაცემად. განცხადებებში აღნიშნული უნდა იქნას, სახელდობრ, რა სურს გამომგზავნს მიიღოს იჯარად და როგორია მის მიერ წარმოდგენილი წლიური ფასი ოქროს ფულის ანგარიშით.

განცხადებას თან დართული უნდა ქონდეს: 1. წარმოდგენილ საიჯარო ფასიდან 10 პროც. ბეს შეტანის კვითარი. რამოდენიმე დაწესებულების საიჯაროთ მიღების მსურველთ მმართებს ზემოაღნიშნულ წესით შემოიტანონ განცხადებები ყოველი ცალკე წარმოებაზე საიჯარო ფასის 10 პროცენტიან ბეს თანდართვით. 2. განცხადებები შემოტანილ უნდა იქნეს სალერბო გადასახადის თანდართვით. იჯარათ გაცემისას სამმართველო, გარდა წარმოდგენილ ფასებისა, იხელმძღვანელებს აგრეთვე რკინის გზის მეურნეობის ინტერესებიდან გამომდინარე სხვა მოსაზრებით. 3. ის პირები, რომლებსაც იჯარათ აქვთ ამ ჟამად ბუფეტები, კარავები და საპირფარეშოები, უკეთუ მათ ამა წლის 1 მარტამდე სავსებით შემოტანილი არა აქვთ საიჯარო გადასახადი, საიჯარო ვაჭრობაზე დაშვებული არ იქნებიან. დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე დილის 10 საათიდან 11 საათამდე, გარდა უქმე დღეებისა, რკინის გზათა სამმართველოში (ტფილისი, ვოკზალის ქუჩა № 1, ოთახი № 64).

256 3—2

ტირაჟი 10,000 ნ. ს. დ. ც.

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პოლიგრაფიულ განყოფილების მე-2 სტამბა კრუზენშტერნის ქ. № 1.